ირაკლი ფაღავა
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ირაკლი II-ისა და რუსების გალაშქრება ჭარ-ბელაქანზე და მუღანლოს ბრძოლა 1784 წლის ოქტომბერში (წინასწარი სამხედრო-ისტორიული ანალიზი)

რეზიუმე

1783-1787 წლების ქართულ-რუსულმა სამხედრო თანამშრომლობამ არსებითად შეცვალა ამ პერიოდის კავკასიის ისტორია. ქართლ-კახეთის სამეფოში რეგულარული რუსული ჯარის ორი ბატალიონის შემოყვანამ გაზარდა ირაკლი II-ის როგორც თავდაცვითი, ასევე თავდასხმითი პოტენციალი, მაგრამ მკვეთრად დაძაბა მისი ურთიერთობა მუსლიმ როგორც ქვეშევრდომებთან, ასევე მეზობლებთან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ამ პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონფრონტაციის - 1784 წლის ოქტომბერში ჭარ-ბელაქანზე ქართველთა და რუსთა გალაშქრებისა და მუღანლოს ბრძოლის - სამხედრო ანალიზია. კრიტიკულად განხილული გვაქვს ხელმისაწვდომი პირველწყაროები და ისტორიოგრაფია. შევისწავლეთ ისტორიული გეოგრაფია და ბრძოლის ველის ლანდშაფტი. დადგინდა მოწინააღმდეგეთა ძალები, გეგმები და დანაკარგები; კამპანიის მსვლელობა და ბრძოლის მიმდინარეობა; მხარეთა დანაკარგები და ბრძოლის საზოგადო გამოსავალი.

მივედით იმ დასკვნამდე, რომ მიუხედავად მოკავშირეთა აშკარა უპირატესობისა, ლეკებზე გამარჯვება არ ყოფილა არც ადვილი და არც ცალსახა. ბრძოლის გამოსავალი მოკავშირეებმა გაალამაზეს და გააზვიადეს; სინამდვილეში, მას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუმცა, ბრძოლამ კარგად აჩვენა - ახალი გამოწვევების გათვალისწინებით - ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო პოტენციალის შეუსაბამობა (მიუხედავად რუსთა ორი ბატალიონის თანდართვისა). ამაშია ამ კამპანიის სამხედრო-ისტორიული ანალიზის ისტორიოგრაფიული ღირებულება.

საკვანძო სიტყვები: *სამხედრო ისტორია, ქართულ-რუსული სამხედრო თანამშრომლობა, ირაკლი II, ლეკები, ლეკიანობა, ქართლ-კახეთის სამეფო, მუღანლო, ჭარ-ბელაქანი*

XVIII საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთი ქართული სახელმწიფოს, ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს (1744-1801) არსებობის პერიპეტიები ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტეხილს წარმოადგენს. უდავოდ, იმდროინდელი ქართული სახელმწიფოებრიობის ფლაგმანი, ქართლ-კახეთის სამეფო თეორიულად შეიძლება ის ბირთვი გამხდარიყო, რომლის ირგვლივაც საქართველო ხელახლა გაერთიანდებოდა და დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა; მოვლენები, როგორც ვიცით, სულ სხვანაირად წარიმართა - დომინოს პირველმა წაქცეულმა კოჭამ თანმიმდევრულად სხვებიც გაიყოლა - რეგიონის მუსლიმური სახანოები და სხვა ქართული სამეფო-სამთავროები. ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის ფარგლებში რუსული ფაქტორის მოქმედების მხრივ კი უმნიშვნელოვანეს ტეხილად გეორგიევსკის ტრაქტატი უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც მხარეებმა 1783 წელს მოაწერეს ხელი, ხოლო რატიფიცირება ირაკლი II-მ 1784 წლის იანვარში გაუკეთა.[1]

გეორგიევსკის ტრაქტატის ამოქმედებისთანავე მყისიერად შეიცვალა არა მარტო რეგიონის გეოპოლიტიკური კონფიგურაცია, არამედ სამხედრო ბალანსიც. ერთი მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფოში შემოვიდა რუსული რეგულარული ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით; მეტ-ნაკლებად ირაკლი II-ის განკარგულებაში მყოფი ეს შენაერთები რეგიონისა და ეპოქის კვალობაზე საკმაოდ არსებით, ანგარიშგასაწევ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. მეორე მხრივ კი, გეორგიევსკის ტრაქტატმა და სწორედ ამ რუსული ბატალიონების შემოსვლამ უაღრესად შეაშინა, გააღიზიანა, და, აქედან გამომდინარე, ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ აამხედრა რეგიონის მუსლიმი მმართველები, ახალციხის ფაშისა (საზოგადოდ, ოსმალეთის იმპერიისა) და ხანების ჩათვლით.

გეოპოლიტიკური კონფიგურაციისა და სამხედრო ბალანსის შეცვლამ უშუალო ზეგავლენა მოახდინა ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო ისტორიაზე: ირაკლი II-ს გაუჩნდა იმედი, რომ რუსული ჯარის დახმარებით შეძლებდა თავისი საგარეოპოლიტიკური ამბიციების ახდენას; ამასობაში კი ახალციხის სულეიმან ფაშას მიერ ამხედრებული ლეკების გაძლიერებული შემოტევის მოგერიება უხდებოდა. დროის პერიოდი გეორგიევსკის ტრაქტატის დადებიდან და ქართლ-კახეთში რუსული ჯარების შემოსვლიდან, ვიდრე 1787 წელს მათ გასვლამდე სრულიად გამორჩეულია არა მარტო ზოგადისტორიული, არამედ სამხედრო ისტორიის მნიშვნელობითაც. პირველწყაროებისა და ისტორიოგრაფიის შესწავლა გვაფიქრებს, რომ ქართველი ერის *სამხედრო ისტორიის* ამ პერიოდის ანალიზი უნდა გაგრძელდეს.

წინამდებარე **შრომის მიზანი** ქართლ-კახეთის სამეფოში რუსული ჯარის შემოსვლის შემდგომი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო კონფლიქტის, 1784 წლის ოქტომბერში ჭარ-ბელაქანზე გალაშქრებისა და მუღანლოსთან მომხდარი ბრძოლის *სამხედრო* ანალიზია.

---

[1] *გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. Георгиевский трактат. Договор 1783 года о вступлении Восточной Грузии под покровительство России* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ. Текст подготовил к изданию, введением и примечаниями снабдил Г. Г. Паичадзе), (თბილისი: მეცნიერება, 1983. Тбилиси: Мецниереба, 1983), 7-9.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით ჩვენი შრომის **მეთოდოლოგიასაც**.

სამხედრო-ისტორიული კვლევა, ისევე როგორც ისტორიის ნებისმიერ სხვა დარგში სამეცნიერო მუშაობა, ლოგიკის პრინციპების გამოყენებით პირველწყაროების განხილვასა და ანალიზს ემყარება. ბუნებრივია, განხილვა პირველწყაროების (შეძლებისდაგვარად) *სრულად მომცველი* უნდა იყოს, ანალიზი კი *კრიტიკული*. წინარე სამხედრო ისტორიოგრაფიაც კრიტიკულ განხილვას საჭიროებს. რაღა თქმა უნდა, პირველწყარო შეიძლება ანგაჟირებული იყოს, ან ცდებოდეს, ან, უბრალოდ მომხდარის მხოლოდ ფრაგმენტს ასახავდეს (თუნდაც, სულაც, ნაკლული იყოს); პირველწყაროს გამოყენება-გათვალისწინება აუცილებელია, მაგრამ მასში მოთხრობილი „ფაქტი“ *ფიქციასა* და *ფაქტს* შორის გადაჭიმულ შესაძლებლობათა სპექტრში ფაქტისკენ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გადახრილი თუ მას სხვადასხვა და თანაც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პირველწყაროები/ც დაადასტურებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მხოლოდ და მხოლოდ *ჰიპოთეზის* სტატუსი უნდა დავუტოვოთ.[2] ჰიპოთეზა რომ ფაქტად მივიჩნიოთ მხოლოდ ერთი პირველწყაროს ჩვენება საკმარისი არ არის. კრიტიკულ შეფასებას მოითხოვს თუნდაც რუსული თანადროული სამხედრო დოკუმენტაცია; მისი ბრმად დაჯერება მიუღებელია: ზემდგომ ინსტანციაში სამხედრო პატაკის შემდგენელს, ბუნებრივია, ექნებოდა რეალური მოტივაცია, მაგალითად, მოწინააღმდეგის დანაკლისი გაეზვიადებინა, თავისი კი დაეკნინებინა; თავისი გადაწყვეტილებები და ქმედებები რეალურად მომხდართან შედარებით გაელამაზებინა: უფრო სწორად და ეფექტურად წარმოეჩინა. რასაკვირველია, მისაღებია ზოგადი ლოგიკის პრინციპებით ხელმძღვანელობა: თუნდაც იმავე პატაკის შემდგენელს, *სავარაუდოდ*, ნაკლები მოტივი ექნებოდა და მისთვის უფრო საფრთხილო იქნებოდა - ბრძოლის თარიღი და ადგილი *გაეყალბებინა*; მაგრამ, თავის წარმოსაჩენად ბრძოლის წინარე ქმედებების, მისი მსვლელობისა და შედეგების სუბიექტურად ინტერპრეტირება-რედაქტირება ბევრად უფრო ადვილიც იქნებოდა და მომგებიანიც. ამრიგად, ლოგიკური აზროვნების საფუძველზე გარკვეული ჰიპოთეზების გამოტანა დასაშვებია, მაგრამ მნიშვნელოვანია არ გვავიწყდებოდეს მათი მეტ-ნაკლები ჰიპოთეტურობა.[3]

სამხედრო-ისტორიულ კვლევას, ბუნებრივია, გააჩნია თავისი სპეციფიკაც. მაგალითად, გასათვალისწინებელია მოწინააღმდეგეთა ჯარის რაოდენობა, შემადგენლობა, მდგომარეობა და თავისებურებები; შეიარაღება და ბრძოლის მიღებული თუ დამახასიათებელი წესი; სარდლობის ვინაობა და ექსპერტული დონე. ანალიზს უნდა დაექვემდებაროს სამხედრო მოქმედებების გეოგრაფიული კონტექსტი, ძალთა განლაგება და მომხდარი ბრძოლის ლანდშაფტი. უნდა აღინიშნოს, რომ 1784 წლის ოქტომბრის მოვლენების სამხედრო-ისტორიულ გეოგრაფიას თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ყურადღება ნაკლებად ექცეოდა, რაც კვლევის შემაფერხებელ გარემოებად უნდა ჩაითვალოს. *მოვლენათა შინაგანი*

---

[2] Malcolm Wanklyn, *Decisive Battles of the English Civil Wars. Myth and Reality* (Norfolk: Pen & Sword Military, 2006), 21-22, 29.

[3] იქვე, 21-32.

სამხედრო ლოგიკის[4] გათვალისწინება კვლევის ვალიდურ მეთოდად წარმოგვიდგება, თუ, რასაკვირველია, თავს შევიკავებთ მისი დახმარებით გამოტანილი დასკვნების ვალიდურობის აბსოლუტიზაციისაგან; დამოუკიდებელი დადასტურების გარეშე, ისინი მაინც უფრო ჰიპოთეზად რჩებიან.[5]

მოკლედ მიმოვიხილოთ ხელმისაწვდომი **პირველწყაროები და საკითხის ისტორიოგრაფია**.

1784 წლის ოქტომბრის ლაშქრობისა და მუღანლოს ბრძოლის ანალიზისთვის ხელმისაწვდომი პირველწაროები მეტად მწირია და, რაც შეიძლება უარესიც იყოს, - ცალმხრივია.

კერძოდ, არ გვეგულება ამ სამხედრო კონფლიქტის ამსახველი არანაირი წყარო დაღესტნელების მხრიდან; ამრიგად, მათი წარმოდგენა ბრძოლის მიზეზებზე, გარემოებებზე და გამოსავალზე აბსოლუტურად უცნობია.

ცნობილია მხოლოდ რუსული და ქართული პირველწყაროები, ისიც მცირერიცხოვანი.

პირველ რიგში განვიხილოთ ქართულენოვანი წყაროები.

ვასილი პოტტო თავის ნაშრომში ახსენებს ირაკლი II-ის წერილებს პოტიომკინისადმი, რომლებშიც ქართველი მონარქი ბრძოლის დეტალებს გადმოსცემდა.[6] სამწუხაროდ, ამ წერილების შემდგომი ბედი და შინაარსი ჩვენთვის უცნობია.

ომან ხერხეულიძე მუღანლოს ბრძოლაზე არაფერს წერს[7] (არც თეიმურაზ ბატონიშვილის ვერსიაშია რაიმე ჩამატებული[8]); ისევე როგორც ბაგრატ[9] და ვახტანგ[10] ბატონიშვილები. მომხდარის ხსენებაც კი არ არის იესე ოსეს ძე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძშიც, შესაძლოა იმიტომ, რომ სწორედ 1784 წლის „ღვინობისთვის 9“ რიცხვში მის ოჯახს „საჯადი“ შემოუდგა.[11]

სამაგიეროდ გვაქვს შედარებით ვრცელი პასაჟი თეიმურაზ ბაგრატიონის *ახალ ისტორიაში*. თხზულების (ძირითადი ნაწილის) ავტორობა გარკვეულწილად

---

[4] იქვე, 29-30.

[5] იქვე, 30.

[6] Василий Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии* (Тифлис: Типография Канцелярии Главноначальствующего гражданскою частью на Кавказе, 1899), 199.

[7] ომან ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა) (თბილისი: მეცნიერება, 1989), 72-73.

[8] იქვე, 98-100.

[9] შეად. ბაგრატ ბაგრატიონი, *ახალი მოთხრობა*, ბატონიშვილი დავითი. *ახალი ისტორია.* ბატონიშვილი ბაგრატი. *ახალი მოთხრობა* (გამოსცა თამარ ლომოურმა) (თბილისი: საქართველოს სრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941), 59.

[10] შეად. ვახტანგ ბაგრატიონი, *ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა შ~ა აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ* (გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ) (ტფილისი: სტამბა ბართლომე კილაძისა, 1914), 33-34.

[11] იესე ბარათაშვილი, *იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი* (ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა), *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,* ნაკვეთი 28 (თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950), 100-102.

სათუოა, მაგრამ ლელა მიქიაშვილის არგუმენტაცია, რომლის თანახმადაც ის თეიმურაზ ბატონიშვილის კალამს ეკუთვნის, - საკმაოდ სარწმუნოა[12] (ამრიგად ამ საკითხს აღარ განვიხილავთ). თხზულების ტექსტი კი, კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი რამდენიმე ვერსიად არის შემორჩენილი. *ახალი ისტორია* სულ 8 ხელნაწერით არის ცნობილი:[13] S-3860 (ნაწილობრივ გამოცემული დავით ჩუბინაშვილის მიერ 1854 წელს), მისგან გადაწერილი A-1766 (გამოცემული თამარ ლომოურის მიერ 1941 წელს[14]) და მისგან გადაწერილი E-229 და M-16; H-25 (გამოცემული მოსე ჯანაშვილის მიერ 1905 წელს[15]) და მისგან გადაწერილი M-17 და E-67, ასევე მ. საბინინის მიერ შევსების შედეგად H-25-სგან მიღებული H-26. *საქართველოს ისტორიის წყაროების* სერიაში (#23) 1983 წელს ლელა მიქიაშვილმა განახორციელა თხზულების ახალი აკადემიური გამოცემა; მასში ძირითად ნუსხად აღებულია თეიმურაზ ბატონიშვილის ხელით გადაწერილი S-3860 (აღნიშნულია ლიტერით A) და ბაგრატ ბატონიშვილის მიერ გადაწერილი A-1766 (აღნიშნულია ლიტერით B). რაც შეეხება **H-25**-ხელნაწერს, რომელიც S-3860 და A-1766 ხელნაწერებისგან არსებითად განსხვავდება, ბაგრატის ეს ავტოგრაფი ლელა მიქიაშვილმა „ბაგრატ ბატონიშვილის მიერ „ახალი ისტორიისა“ და თავისი საკუთარი „ახალი მოთხრობის“ გაერთიანების საფუძველზე შექმნილ კომპილაციურ ნაშრომად“ ჩათვალა - „ამ შემთხვევაში ბაგრატს პირდაპირ კი არ გადაუწერია „ახალი ისტორიის“ ტექსტი [...], არამედ ამ ორი თხზულების („ახალი ისტორიისა“ და [ბაგრატის - ი.ფ.] „ახალი მოთხრობის“) შეერთებისა და სხვა მასალების დამატების საფუძველზე სრულიად დამოუკიდებელი თხზულება შეუქმნია, რის გამოც H-25 ხელნაწერში შესულ „ახალ ისტორიაშიც“ საგრძნობი ცვლილებები შეუტანია. ამდენად, H-25 მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს „ახალი ისტორიის“ ერთერთ პირად, სინამდვილეში კი „ახალი ისტორია“ ბაგრატისთვის წარმოადგენს მხოლოდ ერთერთ წყაროს“.[16]

სამივე ტექსტის შედარება (იხ. ცხრილი 1) ადასტურებს, რომ H-25 ხელნაწერი ნამდვილად წარმოადგენს ბაგრატის („ახალი მოთხრობა“) და თეიმურაზის (?) ნაწერის (S-3860 და A-1766 ხელნაწერები) კომპილაციას. თუმცა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა ფრაგმენტმა, რომელიც მხოლოდ H-25-ხელნაწერშია. პირველში მოთხრობილია, რომ თბილისში ჩამოსული პავლე პოტიომკინი ცდილობდა დაეთანხმებინა ირაკლი II „საქართუჱლო“ (ქართლი?) სამართავად რუსებისთვის დაეთმო, თვითონ კი კახეთს დასჯერებოდა, რაზედაც ქართლ-კახეთის მეფემ უარი თქვა (sic). მეორე ფრაგმენტში კი დაზუსტებულია ქართველთა დანაკარგები მუღანლოს ბრძოლაში.

---

[12] თეიმურაზ ბაგრატიონი, *ახალი ისტორია* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა) (თბილისი: მეცნიერება, 1983), 12-30.

[13] იქვე, 9-12, 22-39.

[14] თამარ ლომოურმა ამ ისტორიული თხზულების ავტორად დავით ბატონიშვილი ჩათვალა. ბაგრატიონი დავითი. *ახალი ისტორია.* 1-44. ბატონიშვილი დავითი. *ახალი ისტორია.* ბატონიშვილი ბაგრატი. *ახალი მოთხრობა.* გამოსცა თამარ ლომოურმა. თბილისი: საქართველოს სრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.

[15] *მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა* (დაბეჭდა მ. ჯანაშვილმა) (ტფილისი: ქართული ამხანაგობა, 1905).

[16] თეიმურაზ ბაგრატიონი, *ახალი ისტორია*, 31.

თავს შევიკავებთ მსჯელობისა და დასკვნის გამოტანისაგან, თუ ვინ არის ამ სტრიქონების ავტორი - თეიმურაზ ბატონიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილი თუ სულაც სხვა, კიდევ ვიღაც სხვა, ჩვენთვის უცნობი მესამე პირი, რომლის შრომითაც სარგებლობდა ბაგრატ ბატონიშვილი H-25 ხელნაწერის შედგენა-წერისას. საზოგადოდ, სამოილოვის ჩამოსვლა და ჭარზე გალაშქრება თეიმურაზის (?) ტექსტიდან არის გადმოღებული; ასე რომ, საფიქრებელია, ინფორმაცია დანაკარგების შესახებ ასევე თეიმურაზის კალამს ეკუთვნის, თუმცა სხვა ხელნაწერებში ის რატომღაც არ შეინახა. ასე თუ ისე, H-25-ის შესაბამისი ფრაგმენტი თავისი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობის ძირითად მასივს და აუცილებლად გასათვალისწინებელია.

ახალ ისტორიაში ყურადღებას იპყრობს ერთი მხრივ, ავტორის მიერ პოსტულირებული (შეცნობილი) კავშირი გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერასა და ახალციხის ფაშას მიერ წაქეზებული ლეკების აქტივიზაციას შორის; მეორე მხრივ კი დუმილი ბრძოლის გამოსავალზე და ლეკების დანაკარგებზე. ამასთანავე, როგორც ამას ქვემოთ ვაჩვენებთ, დაშვებულია ერთი არსებითი ფაქტობრივი შეცდომაც.

საზოგადოდ, *ახალი ისტორიის* მიჩნევა პირველწყაროდ ერთგვარად პირობითია. თხზულება არ არის დაწერილი 1784 წლის მოვლენათა თანამედროვის მიერ - თეიმურაზ ბატონიშვილი 1782 წელს დაიბადა. მისი ნაშრომის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი 1811-1814 წლებით თარიღდება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, XIX საუკუნის I დეკადით;[17] ანუ, დაიწერა ჭარზე გალაშქრებისა და მუღანლოს ბრძოლიდან *20-30 წლიწადში*.

რუსული წყაროებიდან ჭეშმარიტ და ძალიან საინტერესო პირველწყაროს წარმოადგენს პორუჩიკ პიშჩევიჩის, ლაშქრობისა და ბრძოლის უშუალო მონაწილის მოგონება. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვაქვეყნებთ ავტორის რუსული ტექსტის პირველად შესრულებულ ქართულ თარგმანს:

> „დატოვა რა ბ-ნმა სამოილოვმა ტფილისი, გაემართა საქართველოს ლეკების მიწის მიმდებარე საზღვრისკენ; ქისიყის სოფელში გაერთიანდა როსიის ჯარი, როგორც საქართველოში მყოფი, ასევე ბ-ნ პოტიომკინის მიერ თავისი დაცვის რაზმიდან დატოვებული, და გეორგიანელებთან ერთად მეფე ირაკლის ჩამობრძანების ლოდინში არც თუ მცირე დროს ვატარებდით, თავსხმა წვიმა [კი] ყოველ დღე მოდიოდა და ამ მოწყენილობაში [...]“[18]
>
> „როდესაც ქართული ლაშქარი შემოგვიერთდა, ყველანი ერთად გავემართეთ მდინარე ალაზნის ნაპირებისკენ, რომლის გადასვლითაც დადგინდა ლეკების სამფლობელოებში შესვლა. როსიის ლაშქარი იყო ათას-ნახევარ კაცზე ცოტა მეტი, ქართული კი დაახლოებით 4000

[17] იქვე, 33-40.

[18] თარგმანი ჩვენია. Александр Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805* (С предисловием и описаниями Нила Попова) (Москва: Университетская типография, 1885), 65.

არტილერიის საკმაო რაოდენობასთან ერთად. ამ შემთხვევაში ბ-ნმა სამოილოვმა მანდო ცალკე 40 დრაგუნისა და 10 კაზაკის მეთაურობა, რომლებთანაც ერთად განამწესეს მეფის გვამის დასაცავად. ამგვარად, ხალხის ამ მუჭით მიწევდა საკუთარი თავის რეკრუტივით ბრძოლაში გამობრძმედა.

ცამეტ ოქტომბერს მივაღწიეთ ალაზნის ნაპირებს, მომდევნო დღეს კი შეგხვდა ოთხასი თავზე სრულად ხელაღებული ლეკი („наиотчаяннейших Лезгинцов“). პრინცი ვესენ-რეინსფელდისა გააგზავნეს 200 ეგერთან ერთად ბრძოლის დასაწყებად და ტყეში ჩამსხდარი მოწინააღმდეგის გამოსადევნად; ჩვენიანთა შეტევა სასტიკი იყო, ლეკთა თავდაცვა - თავზე ხელაღებული. ბ-ნი სამოილოვი თავისიანების გასამხნევებლად ტყეში ცხენით შევიდა, მე კი მიბრძანა ჩემს გუნდთან ერთად, მეფე მის ლაშქართან დამეტოვებინა და მის [სამოილოვის - ი.ფ.] საფარველში ვყოფილიყავი, მაგრამ შემდეგ დამევალა ეგერთა ცეცხლის გასაძლიერებლად ჩემი დრაგუნები ჩამომექვეითებინა. ამ დროს მძიმედ დაიჭრა პრინცი გესენ-რეინსფელდისა, რომელიც ტყიდან გამოიტანეს, ბ-ნმა სამოილოვმა კი ბრძანა შეკრება [შეკრების სიგნალი - ი.ფ.] დაეკრათ [დოლებზე? - ი.ფ.] იქიდან [ტყიდან - ი.ფ.] თავისიანების გამოსაძახად, ხედავდა რა რომ ჩვენიანებისა და ქართველების (რომლებიც ასევე ცეცხლში ჩაერივნენ) ზარალი უკვე საკმაოდ შესამჩნევი იყო, სარგებელი კი არ ჩანდა („не предвиделось“). მოპირისპირო ნაპირი წამში თავისი სოფლებიდან შემოგროვებული ლეკებით ასე ვთქვათ მოფენილი იყო, აქედან გამომდინარე მათ თვალწინ მდინარეზე გადასვლა დიდი დანაკარგის გარეშე ვერ მოხდებოდა, მით უფრო რომ ალაზანი ძლიერი წვიმების გამო ნაპირებიდან გამოვიდა, და ჩვენ კი პონტონებისა და, ასევე, ნავების არქონის გამო მასზე ვერ გადავიდოდით.

ამგვარად დავასრულეთ რა ჯერ თითქმის არც კი დაწყებული საქმე, ტფილისისკენ უკანა გზას დავადექით. დაჭრილი პრინცი კი ქიზიყში დავტოვეთ, რომელიც ჩვენი განშორებიდან მეხუთე დღეს გარდაიცვალა. მასში დავკარგე ადამიანი, რომელსაც მეტად ვუყვარდი; მისი სხეული ტფილისში ჩამოასვენეს, სადაც მიწას მიაბარეს კიდევაც.

ალაზანზე ამ წამოწყებით ლეკები მოვათვინიერეთ კი არა, უფრო გავაღიზიანეთ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 400 ლეკის უცაბედად დახვდომამ (რომელთაც არც კი იცოდნენ ჩვენი ლაშქრობის შესახებ, არამედ ზოგიერთი ქართული სოფლის გაძარცვა ჰქონდათ განზრახული) გვარგო კიდევაც, ვინაიდან მათ მთიან, ტყითა და ხეობებით სავსე, თანაც თავზე ხელაღებული ხალხით დაცულ მხარეს რომ შევსულიყავით, - მუჭა ვიყავით, ვინაიდან ქართველების შეწევნის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა, - ჩვენგან შესაძლოა ერთი სულიც კი არ გადარჩენილიყო.“[19]

ყურადღების ღირსია ასევე პიოტრ ბუტკოვის თხზულებაც (გარდაიცვალა 1857 წელს; მისი ნაშრომი კი 1869 წელს გამოიცა). შედარებით ობიექტური ტონით,

[19] იქვე, 66-67.

მეტწილად პროპაგანდისტული ობერტონების გარეშე დაწერილ ნაშრომში *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год*[20] ავტორი ყურადღებას უთმობს 1784 წლის სექტემბერში ქართლ-კახეთის სამეფოში კავკასიური კორპუსის ჯართა სარდლის, გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინის 22-დღიან ვიზიტს: *„ადრიბეჯანის მხარის“* მიმართ რუსეთის ინტერესების განხორციელება სწორედ მას ევალებოდა, ამიტომაც სურდა *ირაკლი II-ის, როგორც ამ საქმის ფუძემდებლის* პირადად გაცნობა, ასევე „ახლოდან შეეხედა ქვეყნისთვის, რომლის დაჭერაც / ხელში ჩაგდებაც“ სურდათ რუსებს.[21] ბუტკოვის მიხედვით ირაკლი II ჯერ კიდევ 1783 წლის შემოდგომაზე ფიქრობდა ჭარელი ლეკების გადანადგურებას; ის შეპირდა (უკვე 1784 წლის სექტემბერში?) გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს შეეკრიბა შემდეგი ჯარი: 11 ათ. ქართველი, 4 ათ. თათარი, დამხმარე 1 ათ. ერევნის სახანოდან, 400 სომეხი და 2 ათ. ყარაბაღის ხანისგან, ანუ სულ 18,400 კაცი (ხელნაწერში 19,400-ია).[22] ვინაიდან ლეკები აგრძელებდნენ თარეშს, გადაწყდა ლაშქრობა 1784 წელს მაინც განეხორციელებინათ, რისთვისაც პოტიომკინმა საგანგებოდ დატოვა საქართველოში გენერალ-მაიორი სამოილოვი და პირადი დაცვიდან დრაგუნთა 1 ესკადრონი და 180 კაზაკი.[23] ლაშქრობის დეტალებზე ბუტკოვი არაფერს ამბობს, 1784 წლის 14 ოქტომბერს მომხდარ ბრძოლას კი ძალიან მოკლედ ახასიათებს; ბუტკოვის მიხედვით, სამოილოვი *ქართულ ლაშქართან ერთად, რომელსაც მეფე სარდლობდა* („соединенно с войсками грузинскими, предводимыми саммим царем“) ლეკებს *ალაზანს გაღმა* შეებრძოლა; მიუთითებს ბრძოლის ხანგრძლივობას (5 სთ-ზე მეტი) და დანაკარგებს, ასევე იძლევა ბრძოლის სტრატეგიული მნიშვნელობის ზოგად შეფასებასაც.[24]

1886 წელს დაისტამბა ნიკოლაი დუბროვინის *История войны и владычества русских на Кавказе* (ტომი II).[25] დუბროვინის მიხედვით, ლეკების ასალაგმად ირაკლი II რუსული ქვეითი ჯარის 6 პოლკს ითხოვდა, ხოლო როდესაც ამაზე უარი მიიღო, ითხოვა ჭარ-ბელაქნის აოხრება იმ 2 ბატალიონით მაინც, რომელიც უკვე ქართლ-კახეთის სამეფოში იმყოფებოდა; ამისთვის სურსათს შეპირდა და 4-ათასიანი ლაშქრის გამოყვანასაც.[26] პიტიომკინმა (სავსებით ლოგიკურად, ჩვენი აზრით) მიუთითა მეფეს, რომ ლეკთა მოშორებით განლაგებული დასახლებების გასანადგურებლად საკმარისი ძალები არ გააჩნდათ და ვერც გაიჩენდნენ; გარდა ამისა, ექსპედიცია უაზრობა იქნებოდა, ვინაიდან ირაკლი II ჭარ-ბელაქანს მაინც ვერ შეინარჩუნებდა.[27] თუმცა, უარით გულგატეხილი მეფის ხათრით პოტიომკინმა

[20] Петр Бутков, *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, П.Г. Буткова. Часть вторая* (Санктпетербург, 1869).

[21] „Выполнение обширных видов, какие Россия имела на край адербиджанский, возлагаемо было на генерал-порутчика Потемкина, яко командира войск кавказского корпуса. Надобно было ему для того лично и короче познакомиться с царем Ираклием, как фундатором дела сего, и ближе взглянуть на страну, которую мы иметь в своих руках желали“. იქვე, 155.

[22] იქვე, 157.

[23] იქვე.

[24] იქვე, 158.

[25] Николай Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе. Том II* (С.-Петербург: Типография И. Н. Скороходова, 1886).

[26] იქვე, 46.

[27] იქვე.

შესთავაზა ირაკლი II-ს - დაესაჯათ მისი სამფლობელოების საზღვრებს ახლო მდებარე დასახლებები მაინც, რათა ლეკებს დაენახათ, რომ მათი თავდასხმები ყოველთვის როდი იქნება დაუსჯელი („Потемкин, видя что безпрестанные вторжения лезгин „столь сердце его надсадили, что казалось и расположением одним наказать услаждался уже не мало“, предложил Ираклию наказать ближайшия к его границам селения, дабы лезгины видели, что не всегда они могут делать наказания безнаказанно“).[28] ირაკლი II ამ შემოთავაზებით ძალიან კმაყოფილი დარჩა, ოღონდ რაც შეიძლება მალე განხორციელება ითხოვა.[29] ლაშქრობისთვის პოტიომკინმა ქართლ-კახეთში გენერალ-მაიორი სამოილოვი დატოვა, რომელსაც დაავალა კიდევაც ლაშქრობის სარდლობა; ასევე ასტრახანის პოლკის დრაგუნები (1 ესკადრონი) და კაზაკები (დაახლოებით 100 დონისა და ურალის კაზაკი) თავისი პირადი დაცვიდან.[30] საარქოვო საბუთების საფუძველზე დუბროვინი ამახვილებს ყურადღებას ლაშქრობისთვის მოუმზადებლობაზე: სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა და ქართული ლაშქრის ნელა შეგროვება, საზოგადოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს ბიუროკრატიული აპარატის გაუმართავობა.[31] დუბროვინი საკმაოდ დეტალურად და საქმიანად აღწერს ლაშქრობას და ბრძოლას, ბრძოლის გამოსავალს.[32] კერძოდ, აღნიშნავს, რომ ირაკლი II სამოილოვს *7 ოქტომბრის საღამოს* შეუერთდა.[33] განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დუბროვინის ცნობა, რომ ირაკლი II-ის ჯარში 120 იმერელიც იყო, თავად გიორგი წულუკიძის მეთაურობით (ბატონიშვილ ვახტანგისა და მისი მეუღლის დაცვა).[34] აღსანიშნავია, რომ დუბროვინი ოფიციალური რუსული დოკუმენტაციით სარგებლობდა.[35]

1887 წელს გამოიცა ვასილ პოტტოს მხატვრულ-პუბლიცისტური ხასიათის წიგნი *Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях. Том 1-й. От древнейших времен до Ермолова*.[36] წიგნი, საზოგადოდ, მეტისმეტად ბელეტრიზებულია და სამეცნიერო ნაშრომს ნამდვილად არ წარმოადგენს (რისი პრეტენზია ავტორსაც არ ჰქონდა). რაც შეეხება ცნობებს ჩვენთვის საინტერესო ლაშქრობისა და ბრძოლის შესახებ, იგრძნობა დუბროვინის ზეგავლენა.[37] მოკლულ ლეკთა რაოდენობად მითითებულია 200.[38]

1899 წელს დაიბეჭდა (იმავე გენერალ-მაიორ ვასილ პოტტოს რედაქციით) *Исторический очерк кавказских войн от их начала до присоединения Грузии*.[39]

---

[28] იქვე.
[29] იქვე, 46-47.
[30] იქვე, 47.
[31] იქვე.
[32] იქვე, 47-51.
[33] იქვე, 48.
[34] იქვე.
[35] იქვე, 47, სქოლიო 1-2, 48, სქოლიო 1, 49, სქოლიო 1-2, 51, სქოლიო 1-2.
[36] Василий Потто, *Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях. Том 1-й. От древнейших времен до Ермолова* (С.-Петербург, 1887), 262-265.
[37] იქვე, 264.
[38] იქვე.
[39] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*.

პოტტო ტენდენციურია (ველიკოდერჟავნიკულად არის განწყობილი).[40] მართალია, ისევე როგორც დუბროვინი, საარქივო მასალებით სარგებლობდა და მათ ეყრდნობოდა,[41] მაგრამ ნაშრომი მაინც ბელეტრიზებულია (მნიშვნელოვანწილად 1887 წლის ტექსტი მეორდება). ავტორი ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის გართულებას, კერძოდ, ალაზნისპირა ქართულ სოფლებზე ლეკების თავდასხმების გაძლიერებას კანონზომიერად გეორგიევსკის ტრაქტატს უკავშირებს.[42] ამ ნაშრომშიც მოკლედ გადმოცემულია მეფისა და პოტიომკინის მოლაპარაკებები 1784 წლის სექტემბერში: ირაკლი II-ს ჭარ-ბელაქნის აოხრება სურს, პოტიომკინი კი აღნიშნავს რომ ამისთვის ორ ბატალიონზე ბევრად მეტი ჯარია აუცილებელი; ამ პუნქტების შენარჩუნება კი შეუძლებელი იქნება; ამიტომ კახეთის დასაცავად გადაწყდა ლეკების მხოლოდ უახლოესი თემების დასჯა.[43] ამისთვის პოტიომკინმა დატოვა სამოილოვი, ლაშქრობისთვის რომ ესარდლა; ასევე ასტრახანის დრაგუნთა ესკადრონი და დონისა და ურალის 180 კაზაკი.[44] პოტტო საკმაოდ დაწვრილებით, თუმცა, ბელეტრიზებულად (რაც ერთგვარად საეჭვოს ხდის მონაცემების სანდოობას) გადმოგვცემს ლაშქრობისა და ბრძოლის პერიპეტიებს.[45] საინტერესოა პოტტოს ცნობა (წყარო მითითებული სამწუხაროდ არა აქვს), რომლის მიხედვითაც სწორედ გალაშქრების დღეს ირაკლი II-მ მიიღო ინფორმაცია განჯის ხანის (?) ამბოხების შესახებ, რომელმაც დაქირავებული ლეკებიც მოიწვია და შეიარაღებული წინააღმდეგობისთვის გაემზადა (პოტტო ამით ამართლებს ირაკლი II-ს, და ამტკიცებს რომ სამოილოვი არ იყო მართალი, როდესაც პოტიომკინთან გზავნილში ქართველ მონარქს ზლაზნიაობას საყვედურობდა).[46] პოტტოს მიხედვით, ქართლ-კახეთის მეფე სამოილოვს მხოლოდ *8 ოქტომბერს* შეუერთდა, ისიც კავალერიის ნაწილით, დანარჩენი ჯარი კი რამდენიმე (დღის?) სავალით იგვიანებდა.[47] საინტერესოა ცნობები ქართველთა დანაკარგის შესახებ; დუბროვინისგან განსხვავებით, პოტტო ასახელებს მოკლულ ორ *მოხუც* თავადს - აფხაზს (?) („Абхазов“) და ჩერქეზიშვილს (?) („Черкезов“), ასევე დაჭრილად აცხადებს თავადებს იოსებ ბებუთიშვილს, მელიქიშვილსა და ბარათაშვილს; ხოლო დაღუპულ *უაზნო ქართველთა* რიცხვი კი, მისი თქმით, უცნობია.[48]

სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციის არქივებში შენახული უმდიდრესი დოკუმენტური მასალა ჩვენთვის დღეისთვის მეტწილად ხელმიუწვდომელია. აქედან გამომდინარე, იძულებულნი ვართ დავეყრდნოთ დუბროვინისა და

---

[40] ასე, მაგალითად, პოტტოს ვერსიით პოტიომკინი საქართველოში ჩამოდის რომ გაეცნოს საქმეთა ვითარებას და გამონახოს საშუალებები ქართული სამეფოს [ქართლ-კახეთის სამეფოს - ი.ფ.] შიდა და გარე მტრებისგან დასაცავად. იქვე, 192. შეად. ბუტკოვის ნარატივს, იხ. ზემოთ.

[41] იქვე, 191, სქოლიო *.

[42] იქვე, 192.

[43] იქვე, 194.

[44] იქვე, 195.

[45] იქვე, 195-200.

[46] იქვე, 195.

[47] იქვე.

[48] იქვე, 199.

პოტტოს შრომებს, რომლებიც მათ იყენებდნენ. სწორედ ამიტომ წინამდებარე სტატია 1784 წლის სამხედრო კამპანიის მხოლოდ *წინასწარ* სამხედრო ანალიზს წარმოადგენს.

ბუტკოვის ზემოთ განხილული ცნობები, რომელთა პირველწყაროც უცნობია, ფართოდ გავრცელდა და XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთგვარ სტანდარტადაც კი იქცა. ბუტკოვს ზუსტად მიჰყვება სარგის კაკაბაძე და წერს „ალაზანს გაღმა“, „24 ოქტ. 1784 წ.“ მომხდარ ბრძოლაზე (დანარკაგებიც ბუკოვის მიხედვითაა მოყვანილი).[49] სარგის კაკაბაძის მიხედვით, ეს ბრძოლა თითქოს გარდუვალი და, ასე ვთქვათ, დაგეგმილი იყო - „მოვიდა ცნობა კახეთის წინააღმდეგ ლეკების დიდი ჯარის გამოჩენის შესახებ. […]“; რუს-ქართველთა ლაშქარი გენ. სამოილოვისა და ირაკლი II-ის სარდლობით „გაემართა მდ. ალაზანთან მომდგარ ლეკებთან შესაბრძოლებლად“.[50] სინამდვილეში, როგორც ქვემოთ ვაჩვენებთ, ყველაფერი სულ სხვანაირად წარიმართა და ბრძოლაც უფრო შემთხვევითობას წარმოადგენდა. *საქართველოს ისტორიის ნარკვევების* შესაბამისი თავი ეყრდნობა როგორც ბუტკოვს, ასევე დუბროვინს, თუმცა დანაკარგები მითითებულია ბუტკოვის მიხედვით.[51] თენგიზ პაპუაშვილის საინგილოს ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში მოყვანილი მოკლე ცნობები ამ ბრძოლის შესახებ ასევე ბუტკოვის თხზულებიდანაა აღებული.[52] საქართველოს ისტორიის ატლასშიც ბრძოლის ადგილად ალაზნის გაღმა მხარე არის მითითებული,[53] ჩანს, ბუტკოვისა და კაკაბაძის მიხედვით.

ვახტანგ გურული მუღანლოს ბრძოლას დუბროვინისა და პოტტოს ნაშრომების მიხედვით გადმოსცემს.[54] დამატებით ქართველი მკვლევარი ცდილობს გაამართლოს ირაკლი II-ის ზოზინი რეგიონში ძალთა თანაფარდობის გათვალისწინების აუცილებლობით: „რუსმა გენერალმა არ იცოდა, რომ ერეკლე II-ს უამრავი გარემოება უნდა გაეთვალისწინებინა, სანამ შეტევის მთავარ მიმართულებას აირჩედა. ერევნის, განჯის, ნახჭევნის, ყარაბაღისა და სხვა სანაოების ქართლ-კახეთის მეფის გაძლიერებას შიშით უყურებდნენ, არც ერთ მათგანს ჭარელი ლეკების დასჯა და ჭარ-ბელაქანში ქართველთა და რუსთა ჯარის შეჭრა არ აძლევდა ხელს. ერეკლე II-ის სასიკვდილო საფრთხედ ესახებოდა, თუ ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ სახანოები კოალიციას შექმნიდნენ. მეფეს

[49] სარგის კაკაბაძე, *ქართველი ხალხის ისტორია: 1783-1921* (თბილისი: ნეკერი, 1997), 12.

[50] იქვე.

[51] მამია დუმბაძე, „პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე* (ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე) (თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973), 700-701.

[52] თენგიზ პაპუაშვილი, *საინგილოს ისტორიის ნარკვევები. საქართველოს აღდგომისა და გამოხსნისათვის ბრძოლა კაკ-ელისენის გამო* (თბილისი: არტანუჯი, 2008), 142-143.

[53] დავით მუსხელიშვილი (რედაქტორი), *საქართველოს ისტორიის ატლასი. მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა* (თბილისი: არტანუჯი, 2016), 52-53.

[54] ვახტანგ გურული, „რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში (1783-1787)“, *საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები*, VI (2016), 75-114; ვახტანგ გურული, *მეფე ერეკლე და რუსეთი. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან (1783-1798)* (თბილისი: ქართული უნივერსიტეტი, 2018), 110-118.

მორჩილი ხანებისა არ სჯეროდა, მათგან მუდამ ღალატს ელოდა. [...] ამიტომ იყო, რომ იგი ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებას ერიდებოდა."[55]

დაღესტნელი მკვლევარი შაჰბან ხაფიზოვი აღწერს მუღანლოს ბრძოლას დუბროვინის, პოტტოსა და პიშჩევიჩის მიხედვით; ქართულ წყაროებს ის არ იცნობს ან არ იყენებს.[56] თუმცა, მისი ნაშრომი ძალიან ნოვატორულია რუსული წყაროებისადმი თუ ისტორიოგრაფიისადმი კრიტიკული მიდგომის ხარჯზე; ავტორს ბრძოლის გამოსავალი სულ სხვანაირად აქვს წარმოდგენილი. ეს ნაშრომიც ტენდენციურია (ოღონდ სხვანაირად: ავტორი ყოველთვის ცდილობს გაამართლოს ომარ-ხანი და ხუნძები[57] და მათ გაამარჯვებინოს); მიუხედავად ამისა, მისი მოსაზრება ნამდვილად საყურადღებოა.

ასეთია შემორჩენილი ცნობები 1784 წლის ჭარ-ბელაქანზე ლაშქრობის შესახებ და მათი ინტერპრეტაცია XIX-XXI საუკუნეების ისტორიოგრაფიაში.

*

გადავიდეთ უშუალოდ ამ სამხედრო დაპირისპირების ნარატივზე.

ლაშქრობისა და ბრძოლის სრულყოფილად გააზრება შეუძლებელია **ისტორიული გეოგრაფიისა და ბრძოლის ველის ლანდშაფტის** გათვალისწინების გარეშე. მაგრამ იქამდე გასარკვევია, შეძლებისდაგვარად, თუ რა გეგმები ჰქონდათ მოწინააღმდეგეებს.

ერთი მხრივ, ირაკლი II-ისა და სამოილოვის, მეორე მხრივ კი მუღანლოს ბრძოლაში მონაწილე ლეკების ზოგადი **სამხედრო გეგმა** ნათლად იკვეთება.

ქართლ-კახეთისთვის ჭარ-ბელაქნის უბატონო თემები, როგორც მარბიელი ლეკების მთავარი ბუდე მუდმივ თავსატკივარს წარმოადგენდნენ. რა გასაკვირია, რომ ირაკლი II-ს ძალიან სურდა ჭარ-ბელაქნის დალაშქვრა - ლეკთა თავდასხმებისთვის შურისძიების მიზნით და ამ საშიშროების შესამცირებლად თუ აღმოსაფხვრელად; საუკეთესო შემთხვევაში, ან ჭარის ან ბელაქნის ასაოხრებლად, დასაკავებლად თუ არა; უარეს შემთხვევაში ლეკთა დასახლებებისთვის რაიმე ვნების მისაყენებლად მაინც. არ უნდა იყოს მართალი სარგის კაკაბაძე, რომელიც წერდა, რომ რუს-ქართველთა ლაშქარი გენერალ-მაიორ სამოილოვისა და ირაკლი II-ის სარდლობით „გაემართა მდ. ალაზანთან მომდგარ ლეკებთან შესაბრძოლებლად"[58] - თუ რასაკვირველია ამ ფრაგმენტში არ იგულისხმება იმ დროს ალაზნის გამოღმა ტერიტორიაზე ლეკების გაძლიერებული თარეში; ან, საზოგადოდ, ლეკების სამხედრო-სტრატეგიული მეზობლობა ალაზანზე:ლეკები ხომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს მარბიელი ლაშქრობებით აოხრებდნენ, მათთვის სულ არ იყოს დამახასიათებელი ერთ ადგილას გაჩერება და თავდაცვით პოზიციაში მოწინააღმდეგის დალოდება; ტფილისშიც ეს კარგად ეცოდინებოდათ და ვერ ექნებოდათ იმედი, რომ ლეკები ერთ ადგილას დიდ ხანს გაჩერდებოდნენ.

---

[55] იქვე, 113-114.

[56] Шахбан Хапизов, *Ума-Нуцал (Умахан) Великий (очерк истории Аварского нуцальства второй половины XVIII в.)* (Махачкала, 2013), 75-80.

[57] ბრძოლაში მონაწილე ლეკებსაც ხუნძებად თვლის, თუმცა არცერთ წყაროში არ არის მითითებული, თუ რომელი ეთნიკური ჯგუფის დაღესტნელები იყვნენ ამ რაზმში.

[58] კაკაბაძე, *ქართველი ხალხის ისტორია: 1783-1921*, 12.

პირველწყაროები (იხ. ცხრილი 2) ცალსახად გვარწმუნებს, რომ მოკავშირეთა მიზანი ჭარბ-ბელაქანში შეჭრა იყო; თუმცა, საუბარი, როგორც ჩანს, უფრო მარბიელ ლაშქრობაზე იყო, ვიდრე ტერიტორიის დაპყრობაზე.

რაც შეეხება ბრძოლაში მონაწილე ლეკებს, მათ, ჩანს, ბრძოლამდე ცოტა ხნით ადრე შეიტყვეს ქართველთა და რუსთა ლაშქრის მოახლოება და ერთადერთი მიზანი ამოძრავებდათ, მალევე გაბრუნებულიყვნენ ჭარში, რომ ის დაეცვათ.

მოწინააღმდეგეთა გეგმებს და, კერძოდ, მათი განხორციელების გზას მნიშვნელოვანწილად, ბუნებრივია, რეგიონის ისტორიული გეოგრაფია განაპირობებდა.

ლეკების მიერ დაკავებული ისტორიული საქართველოს, კახეთის ნაწილს - ჭარ-ბელაქანს ქართლ-კახეთის სამეფოსგან სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან მდინარე ალაზანი იცავდა; უმოკლესი გზა ტფილისიდან ჭარ-ბელაქნამდე სწორედ ალაზანს კვეთდა. ამიტომ წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა ალაზნის ფორსირებას - ქვეითების, კავალერიისა და არტილერიის მიერ. ამასთანავე, ალაზნის მარჯვენა (თბილისისკენა) ნაპირიდან მარცხენაზე გადასვლა ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე, ჭარისთვის ჩრდილოეთიდან შეტევა ნაკლებ მისაღები იქნებოდა: 1) ეს შემოვლითი და უფრო გრძელი გზა იქნებოდა; 2) ჯარების ჭარის ჩრდილოეთით გაყვანით კიდევ უარესად გაშიშვლდებოდა საზღვარი ჭართან ალაზნის დინების გაყოლებაზე; საფრთხე შეიძლება ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქსაც კი შექმნოდა.

რატომ მოხდა ბრძოლა მაინცდამაინც მუღანლოსთან? ეს შემთხვევითობა არ იყო. საქმე ის არის, რომ სწორედ მუღანლოსთან მდებარეობდა ალაზნის გადასასვლელად და ჭარში შესაჭრელად ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი ფონი. საზოგადოდ, ჭარ-ბელაქანში მოსახვედრად ალაზნის გადაკვეთა რამდენიმე ადგილას შეიძლებოდა. პრაპორშიკ ჟაიშნიკოვის 1830 წლის ცნობებით, ალაზანზე ერთი ხიდიც არ იყო გადებული (და მით უფრო არ იქნებოდა 1784 წელს - ი.ფ.); სამაგიეროდ ჭარის სამფლობელოებში რამდენიმე ფონი იყო, დინების გაყოლებაზე: 1) ბეჟანიანი („Бежанианы“); 2) ანაგა; 3) ურდო, ბელაქნის დონეზე („Урдо, против селения Белокан“); 4) ქოზლუ („Козлу, против Тапанджинских хуторов“); 4) მუღანლო, დასახლება მუღანლოს მახლობლად („Муганло, близ сел. Муганло“); 5) ბუჟახჩი, დასახლება ფადაროს მახლობლად („Буяхчи, близ сел. Падаро“) 6) ჩიორფლიუ, დასახლება ბოჟამოთლუს მახლობლად („Черплю, близ сел. Боямотлу“); 7) ბოჟამოთლუ („Боямотлу“), წინა ფონიდან 2 ვერსში; 8) ლალალი, დასახლება ლალალის მახლობლად; 9) ქათური („Катур“), წინა ფონიდან 2 ვერსში, უკვე ელისუს სასულთნოს ტერიტორიაზე.[59] ქვეითისთვის ეს ფონები იშვიათად თუ იყო გამავალი, ცხენოსნისთვის კი თითქმის ყოველთვის წყალსავსეობისა და ძლიერი წვიმების პერიოდის გარდა.[60] დიმიტრი ზუბარიოვის მიხედვით, 1841 წლისთვის მაინც, ძირითადი გადასასვლელებია

[59] Т.Н. Яишников, “Выдержки из описания лезгино-джарских вольных обществ. 1830 г.”, *История, география и этнография Дагестана. XVIII–XIX вв.: Архивные материалы* (Под ред. М.О. Косвена и Х.-М. Хашаева) (Москва: Издательство восточной литературы, 1958), 301-302.

[60] იქვე, 302.

მუღანლო, ურდო და ალმალო (Დაიშნიკოვის ლალალი?) („Главнейшие переправы Муганлинская, Урдобская и Алмалинская“).[61] საქართველოსა და თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის საზღვრის (რომელიც ალაზანს მიუჰყვება) გადაკვეთის ერთ-ერთი პუნქტი, სადაც ალაზანზე ხიდიცაა გადადებული, და საინგილოში მდებარე სოფელ *მუღანლოს* სამხრეთ-დასავლეთითაა, ხუთიოდ კილომეტრში, სწორედ მუღანლოს ფონის ადგილას მდებარეობს (რუკა 1). ამას ადასტურებს ტოპოგრაფიული რუკების შედარება, რომლებზედაც აღნიშნულია ერთზე მუღანლოს ფონი (რუკა 2), მეორეზე კი მდინარეზე გადასასვლელი თანამედროვე ხიდი (რუკა 1). საქართველოს მხარეს იქ *სამთაწყაროს* დასახლებაა.

1803 წელს ბელაქანზე გალაშქვრისას რუს-ქართველთა ჯარი ჯერ ურდოს ფონს მიადგა, საბოლოო ჯამში კი ალაზანი ანაგას ფონით გადაკვეთა.[62] 1830 წელს ტფილისში განლაგებული (რუსული) ჯარი კვლავ ამოცანის წინაშე დადგა, სად გადაელახა ალაზანი, რომ ჭარზე გაელაშქრა. პასკევიჩის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ნაშრომში ალექსანდრე შერბატოვი წერს, რომ ტფილისიდან ჭარისკენ, ალაზანს გაღმა ორი გზა მიდიოდა: პირველი და უფრო ახლოს მდებარე გადიოდა დასახლება ქოზლუს მიმდებარე ფონზე, მაგრამ ჭარის მხრიდან ადვილი დასაცავი ადგილი იყო; ამიტომ პასკევიჩმა უფრო გრძელი (61 ვერსი 49-ის მაგიერ) გზა ამჯობინა, მუღანლოს ფონით.[63] არ გამოვრიცხავთ, რომ 1784 წელსაც მუღანლოს ფონი ირაკლი II-სა და სამოილოვს ალაზნის გადასაკვეთად ყველაზე ხელსაყრელ გადასასვლელად ჩაეთვალათ.

საფიქრებელია, რომ ლეკებისთვისაც ჭარში დასაბრუნებლად ყველაზე მოსახერხებელი გადასასვლელი მუღანლოსთან იყო; სწორედ ამიტომ არ უსარგებლიათ დინების გაყოლებაზე უფრო დაბლა მდებარე ფონებით და მაინცდამაინც მუღანლოს ფონთან გაბრუნდნენ.

ამგვარად, სწორედ მუღანლოს ფონი (რუკა 1) წარმოადგენდა 1784 წლის ოქტომბერში სამხედრო დაპირისპირების საკვანძო პოზიციას, მოწინააღმდეგეების გადაკვეთის არა შემთხვევით, არამედ სავსებით კანონზომიერ წერტილს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ბრძოლის ველზე შეხვედრა და დაპირისპირება ორი მოწინააღმდეგიდან მხოლოდ ერთს თუ ენდომებოდა (ირაკლი II-ის უფრო ძლიერ ლაშქარს), ბრძოლამდე კონფლიქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიდოდა, თუ მეორეს, ამგვარი სურვილის არმქონეს, გადაადგილების სიჩქარე ნაკლები ექნებოდა, ან რაიმე მკაფიოდ დეტერმინირებული გეოგრაფიული ობიექტის დაცვისა თუ გადაკვეთის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამგვარ დეტერმინირებულ გეოგრაფიულ ობიექტად მდინარე ალაზანი და მუღანლოს ფონი მოგვევლინა.

---

[61] Дмитрий Зубарев, „Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белоканскую область“, *Русский вестник*, т. 2 (1841), .

[62] Николай Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе. Том IV* (С.-Петербург: Типография И. Н. Скороходова, 1886), 75-76, План местности у брода Урдо и занятие его русскими войсками под командою Генерал-Майора Гулякова 4-го марта 1803 года.

[63] Александр Щербатов, *Генерал-фельдмаршал князь Паскевич. Его жизнь и деятельность. Т. 3 с 5 картами и планами. Октябрь 1827 — май 1831 гг.* (Санкт-Петербург: Типография Р. Голике, 1891), 237.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეკების სამხედრო გეგმა, ჩანს, ჭარ-ბელაქანში დაბრუნება იყო (და შემდეგ კი მისი დაცვა, მდგომარეობისდა მიხედვით). ამის გაკეთებას, საფიქრებელია, სწორედ მუღანლოს ფონით აპირებდნენ; ამაზე წერს დუბროვინიც და პოტტოც.[64] ის ფაქტი რომ, გარკვეული ალბათობით, რუს-ქართველთა გამოლაშქრების შესახებ იცოდნენ, და მაინც გადასასვლელად მუღანლოს, და არა დინების გაყოლებაზე უფრო ქვევით მდებარე რომელიმე სხვა ფონი არჩიეს, შეიძლება აიხსნებოდეს როგორც გეოგრაფიული ფაქტორით (განჯის მხრიდან წამოსვლისას ჭარამდე მისაღწევად ყველაზე მოკლე გზა მართლაც ჯერ შირაკის ველისა და შემდეგ მუღანლოსთან ალაზნის გადაკვეთას გულისხმობდა), ასევე პირველ რიგში სწორედ რომ ჭარის დაცვის აუცილებლობით (ეს ლეკები ჭარელნი ხომ არ იყვნენ? თუ სხვა / სხვადასხვა თემს ეკუთვნოდნენ?).

უეჭველია, რომ 1830 წელს პასკევიჩის მსგავსად, 1784 წელს ირაკლი II და სამოილოვი განიხილავდნენ მუღანლოს ფონს როგორც ჭარ-ბელაქანში, კერძოდ, ჭარში შესაჭრელად *ერთ-ერთ შესაძლო* ადგილს მაინც. მუღანლოს ფონისკენ მარში, ჩანს, გარდაუვალი გახდა, როდესაც მოკავშირეებმა ლეკების ამბავი გაიგეს, ჭარში რომ ბრუნდებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი და ხელნაწერი H-25 ბრძოლის ადგილად არა მუღანლოს, არამედ ურდოს ფონს მიუთითებენ, - „მიიწივნენ რა ურდოს,[65] მუნ შეემთხვათ მცირედნი მჯედრობანი ლეკთანი“ - მაგრამ ამ შემთხვევაში რუსულ წყაროებს, ვფიქრობთ, უფრო დაეჯერებათ. ბრძოლა მოხდა მუღანლოს, და არა ურდოს ფონთან.

სად მოხდა ბრძოლა, ალაზანს გაღმა, მდინარის მარცხენა ნაპირზე, თუ გამოღმა, მარჯვენა ნაპირზე? პიშჩევიჩი, დუბროვინი და პოტტო ყველანი ერთხმად და დეტალურად საუბრობენ იმაზე, რომ რუს-ქართველთა ჯარს ალაზანი *არ* გადაუკვეთავს, არც ბრძოლამდე და არც ბრძოლის შემდეგ; პიშჩევიჩი და პოტტო ამის მიზეზსაც ასახელებენ (იხ. ქვემოთ). ახალ ისტორიაში და H-25 ხელნაწერშიც ცალსახად იგივეა მითითებული. მხოლოდ ბუტკოვი სიტყვაძუნწად ახსენებს ბრძოლას *ალაზნის გაღმა* (რაც მეტ-ნაკლებად ტირაჟირებული გახდა გვიანდელ ისტორიოგრაფიაში).

წყაროებში *თუ ისტორიოგრაფიაში* მითითებულია *მუღანლო*: „близ урочища Муганлу, настиг лезгин, тянувшихся к близ лежащему лесу, с намерением через него пробраться к Алазани“[66] / „увидели огромную толпу неприятеля, быстро

---

[64] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе. Том II*, 49; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196.

[65] გამომცემელთან ეს სახელი ახსნილი არ არის, არც საძიებლებშია შეტანილი. ვფიქრობთ, თხზულების ეს ადგილი დღეისთვის სრულად ნათელი გახდა. ბატონიშვილის შეცდომა ადვილი ასახსნელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1803 წელს რუს-ქართველთა ჯარმა ჭარ-ბელაქანში შესაჭრელად (ბელაქნის ბრძოლის წინ) ალაზანს სწორედ ურდოს ფონთან მიადგა (თუმცა შემდგომ ალაზანი ანაგას ფონის გადალახა). Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе. Том IV*, 75-76, План местности у брода Урдо и занятие его русскими войсками под командою Генерал-Майора Гулякова 4-го марта 1803 года. თეიმურაზ ბატონიშვილს ან მის ინფორმანტს აერია 1784 და 1803 წელს მოვლენები.

სხვათა შორის, დიდი ალბათობით დგინდება, რომ თეიმურაზ ბაგრატიონის თხზულების შესაბამისი ადგილი (და შემდგომი ფრაგმენტები მაინც) დაიწერა არა უადრეს 1803 წლისა.

[66] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе. Том II*, 49.

двигавшуюся прямо к деревни Муганлы, с очевидным намерением переправиться за Алазань“[67]? მაგრამ, ეს სოფელი ხომ ალაზნის მარცხენა ნაპირას მდებარეობს? როგორც დუბროვინის, ასევე პოტტოს ტექსტი ეჭვსაც არ ტოვებს, რომ მუღანლოსკენ ლეკები მიემართებოდნენ ალაზანზე გადასვლით ჭარ-ბელაქანში დასაბრუნებლად; ანუ, მოხსენიებული „მუღანლო“ ალაზნის *მარჯვენა* ნაპირას მდებარეობდა. რუსული სიტყვა урочище აღნიშნავს, ფართო გაგებით, საზოგადოდ, ნებისმიერ გეოგრაფიულ ობიექტს, რომლის სახელწოდებაზედაც შეთანხმდნენ („уреклись“) ადამიანები; ასე რომ, ამ შემთხვევაში შეიძლება მუღანლოს ფონიც კი იგულისხმებოდეს. მაგრამ პოტტოსთან აშკარად *სოფელ მუღანლოზეა* საუბარი; ვარაუდით, პოტტოსთან შეცდომაა: რთული დასაჯერებელია, რომ 1780-იან წლებში ალაზნის აქეთა მხარეს თუნდაც პატარა დასახლება *მუღანლო* ყოფილიყო.

ამრიგად, ბრძოლის ადგილი შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს - ბრძოლა მოხდა ალაზნის მარჯვენა (ქართლ-კახეთის სამეფოს, და არა ლეკების მიერ მიტაცებული კახეთის ნაწილის) მხარეს, *მუღანლოს ფონთან*.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა ამ სამხედრო დაპირისპირებისთვის *მუღანლოს ბრძოლა* გვეწოდებინა (*ალაზნის ბრძოლა*, როგორც ნაკლებად კონკრეტული ტერმინი, მოუხერხებლად გვეჩვენება).

როგორც უკვე ვახსენეთ, დღეისთვის სოფელ მუღანლოს სიახლოვეს მოწყობილია სასაზღვრო გადასასვლელი თანამედროვე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, ქართულ მხარეს განლაგებულ სოფელ სამთაწყაროსთან, და ალაზანზე ხიდია გადებული. ძალიან დიდი ალბათობით, ბრძოლა მოხდა სწორედ ამ გადასასვლელთან, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია მუღანლოს ბრძოლის ანალიზის პროცესში სწორედ ამ ადგილის თუნდაც თანამედროვე ლანდშაფთი გავითვალისწინოთ (რუკა 3). რთული სათქმელია, რამდენად არის შეცვლილი ადგილობრივი ლანდშაფთი ბრძოლიდან გასულ 240 წელიწადში. რელიეფი, როგორც ასეთი, არსებითად, რამდენადაც ვიცით, არ შეცვლილა. გაიზრდებოდა სასოფლოსამეურნეო მიწების ფართობი, რის პარალელურადაც შეიძლება შემცირებულიყო ტყის, ანუ, ალაზნისპირა ჭალების მიერ დაკავებული ტერიტორია.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით, ალაზნიდან დაახლოებით 1-1.3 კილომეტრში ხრამი იწყება, რომლის იქით შირაქის ველია, შირაქის ჩაზნექილობა. მუღანლოს ფონის (დღევანდელი სამთაწარო-მუღანლოს გადასასვლელის) დონეზე ალაზანსა და ხრამს შორის შედარებით ვაკე, ნაწილობრივ ალაზნის ჭალებით დაფარული ტერიტორიის სიგანე დღეისთვის კილომეტრზე ოდნავ მეტია (რუკა 1). ბრძოლა სწორედ აქ უნდა მომხდარიყო, უფრო კი ამ ზოლის ალაზნისპირა ნაწილში (რუკა 3).

როგორი იყო **მოწინააღმდეგეთა ძალები** მუღანლოს ბრძოლაში? წყაროებში მუღანლოს ბრძოლაში მონაწილეთა ძალები სხვადასხვანაირად არის მითითებული (იხ. ცხრილი 3).

რუს-ქართველთა ლაშქრის რაოდენობა შეიძლება საკმაოდ ზუსტად დადგინდეს. რუსების მხრიდან ლაშქრობაში (და ბრძოლაში) მონაწილეობდა

[67] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196.

ეგერთა ორი *არასრული ბატალიონი*, დრაგუნთა 1 ესკადრონი (საფიქრებელია, 100-მდე მხედარი), და 100 თუ 180 კაზაკი (უფრო 100? 180 შეიძლება ყოფილიყო ქართლ-კახეთში გადმოსულ კაზაკთა საერთო რაოდენობა, რომელთაგან რამდენიმე ათეული, დავუშვათ 80, შეიძლება თბილისში დარჩენილიყო). რაც შეეხება ქართველებს, მათი რაოდენობა მხოლოდ ალექსანდრე პიშჩევიჩს მოჰყავს: 4,000. რასაკვირველია, ეს ციფრი მხოლოდ საორიენტაციოა (ხომ არ უნდა დავასკვნათ, რომ 1780-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს რეალური სამობილიზაციო სამხედრო პოტენციალი სწორედ ეს იყო - 4 ათასი მეომარი?). ყოველ შემთხვევაში, ესოდენ მნიშვნელოვანი, და *წინასწარ დაგეგმილი* ლაშქრობისთვისაც კი ირაკლი II-მ მეტის შეგროვება ვერ მოახერხა. ჩვენი აზრით, ლაშქრობასა და ბრძოლაში მონაწილე ქართველთა რაოდენობა პიშჩევიჩმა მეტ-ნაკლებად სწორად მიუთითა. თუმცა, სამწუხაროდ, არ ვიცით, 4 ათასის პროცენტული განაწილება ქვეით ჯარს, კავალერიასა და არტილერიას შორის. უცნობია ქართული არტილერიის ზარბაზნების რაოდენობაც - მხოლოდ პიშჩევიჩს აქვს მითითებული, რომ ის „საკმაო რაოდენობით“ იყო, მაგრამ ამ *საკმაოში* თუ რა გულისხმობდა - უცნობია.

რამდენადაც ვიცით, *თანამედროვე* ისტორიოგრაფიაში აქამდე არ გაჟღერებულა, რომ ქართულ ლაშქარში ქართლელებისა და კახელების გარდა იმერლებიც იყვნენ - 120 კაცი თავად გიორგი წულუკიძის მეთაურობით - დუბროვინის მიხედვით.[68] ცნობა მხოლოდ დუბროვინთან არის დაცული და პარალელური დამადასტურებელი მოწმობა არ მოგვეპოვება, თუმცა, სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება და მისი გაყალბების მოტივიც რუს სამხედროებს არ იქნებოდათ. ამ შენიშვნით, ეს ცნობა საგულისხმოდ უნდა ჩავთვალოთ.

ახალი ისტორია (და ხელნაწერი H-25) ლეკების (ისევე როგორც ქართველთა და რუსთა) რაოდენობას არ უთითებენ, მხოლოდ ხაზს უსვამენ მათ მცირერიცხოვნებას („მცირედნი მჯედრობანი ლეკთანი“). ლეკების „ზუსტ“ რაოდენობას, როგორც დავინახეთ, მიუთითებს მხოლოდ ალექსანდრე პიშჩევიჩი, რომელმაც, მართალია, ბრძოლაში პირადად მიიღო მონაწილეობა: 400. ეჭვიც არ გვეპარება, რომ ეს ციფრი მხოლოდ და მხოლოდ საორიენტაციოა: დავუშვათ, ქართველები, რომელთა რაოდენობაც პიშჩევიჩმა 4 ათასად განსაზღვრა, მარშზე და ბივუაკებზე რუსებთან ერთად იყვნენ; გარდა ამისა, რუს ოფიცერს ქართველი მოლაშქრეების რაოდენობა სარდლობისგანაც ექნებოდა გაგონილი; აი ლეკები კი რუსებმა პირველად მხოლოდ 14 ოქტომბერს ნახეს, ისიც შორიდან, სანამ ალაზნისპირა ჭალაში შევიდოდნენ. მართალია, ციფრი 400 შეიძლება წინა დღეს / დღეებში აგენტებისა თუ მზვერავებისგან გაგონილს ეყრდნობოდეს. ბრძოლის დაწყების შემდეგ მასში მონაწილე ლეკების დათვლა პიშჩევიჩს კიდევ უფრო გაუჭირდებოდა. ასე თუ ისე, ლეკების მითითებული რაოდენობა მეტად სათუოა და ალბათ უფრო ძალთა თანაფარდობის მხოლოდ მიახლოებით გასარკვევად თუ გამოდგება.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ალექსანდრე პიშჩევიჩის მიხედვით ალაზნის მეორე მხარეს შეკრებილი ასე ვთქვათ „ადგილობრივი“, ახლომდებარე

[68] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 48.

(?) სოფლებიდან შეგროვებული ლეკებიც[69] (მათ პოტტოც ახსენებს, თუმცა, შესაძლოა, პიშჩევიჩს ეყრდნობა). პორუჩიკი პიშჩევიჩი არ უთითებს მათ მიახლოებით რაოდენობასაც, თუმცა, როგორც ჩანს, ის არსებითი იყო, ვინაიდან ისინი, რუსი ოფიცრის თანახმად, *მოეფინნენ* ალაზნის მარცხენა ნაპირს. პიშჩევიჩის მიხედვით, მათი რაოდენობა და მათი მხრიდან საგულისხმო შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის მოსალოდნელობა ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რომელიც რუს-ქართველთა სარდლობას ალაზნის ფორსირება და ლაშქრობის გაგრძელება გადააფიქრებინა: მათთან შედარებით პიშჩევიჩს თანამებრძოლნი (ჩანს, რუსები) ერთ მუჭა ხალხად მოეჩვენა. სხვა ამბავია, რომ ბრძოლაში ამ ალაზანს-გაღმელ ლეკებს უშუალო მონაწილეობა, ხელმისაწვდომი წყაროებით, არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, ლაშქრობისა თუ ბრძოლის შესწავლისას ერთ-ერთ უსათუოდ გასათვალისწინებელ და არსებით ფაქტორს წარმოადგენდნენ.

ქართულ-რუსული ლაშქარი ლეკებთან შედარებით უფრო დაბალანსებული ჩანს: ის შედგებოდა ქვეითი ჯარისგან: რეგულარულად გაწვრთნილი რუსი ეგერები და, ასევე, ქართველი უაზნო მოლაშქრეები; კავალერიისგან: ძირითადად, ქართველები (ქართლ-კახეთის, ასევე იმერეთის მკვიდრნი), ასევე კაზაკები და დრაგუნები (რომელთაც, სააფიქრებელია, უფრო დამხმარე როლი ეკისრებოდათ; მაგალითად, დრაგუნები საერთოდაც ჩამოაქვეითეს და ქვეით ჯარად ჩააბეს ბრძოლაში); და არტილერიისგან: თანამედროვე 4 რუსული ზარბაზანი და ქართული არტილერია (უცნობია, ატალახებული გზებით თუ მოაღწია ბრძოლის ადგილამდე).

დისციპლინაც, რუსულ რეგულარულ შენაერთებს მაინც, საფიქრებელია, ლეკებზე უკეთესი ექნებოდა.

ყველა ლეკი, როგორც ჩანს, ცხენოსანს წარმოადგენდა, რახან „ჩორთით“ წამოვიდნენ. ქვეითი ჯარი და არტილერია მათ რაზმს არ გააჩნდა. თუმცა, საფიქრებელია ქართველი ცხენოსნების მსგავსად, ლეკებიც რეგულარულ სამხედრო წყობას დაუჩვეველ და არადისციპლინირებულ მხედართა ერთობლიობას შეადგენდნენ.

რაც შეეხება **სარდლობას**, როგორც უშუალოდ ბრძოლაში მონაწილე, ასევე მდინარის მოპირდაპირე მხარეს შეგროვებულ ლეკთა ბელადების ვინაობა უცნობია. რუს-ქართველთა ლაშქრის უზენაესი მხედართმთავარი კი, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, მეფე ირაკლი იყო. მას, *ნომინალურად* მაინც, რუსული დანაყოფებიც ექვემდებარებოდნენ; ამ მხრივ საყურადღებოა თავად სამოილოვის წუხილი, რომ ქართველი მეფე, რომელსაც რუსი გენერალი ვერ აკონტროლებდა, პირადად გაუძღვა ჯარს: „Большое несчастье что царь сам принял начальство, а не прислал сюда своих военачальников; тех я принудил бы к действию, а к царю могу лишь входить с представлениями. Он слушает советы, а поспешности не прибавляет ни мало“.[70] თუმცა, მაინც, თითქოს იგრძნობა, რომ სამოილოვი თავს საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდა, როგორც ჩანს, გადაწყვეტილებებს მეტ-ნაკლებად

[69] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66-67.

[70] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196. შეად. Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 48.

დამოუკიდებლად იღებდა, მით უფრო რომ რუსული საჯარისო ნაწილებიც ხომ აშკარად უშუალოდ რუს გენერალს ექვემდებარებოდნენ, და არა მეფე ირაკლის. ამასთანავე, ვერ ვიტყვით, რომ ირაკლი II მხოლოდ ნომინალური სარდალი იყო: ყოველ შემთხვევაში, ბრძოლის I ფაზაში ის, როგორც ჩანს, კავალერიის სათავეში, ტყესთან პირველი მივიდა.

როგორც დავინახეთ, ირაკლი II-ისა და სამოილოვის ქართულ-რუსული ლაშქარი ლეკების ჯარს (შესაძლოა, უკეთესი იყოს ვიხმაროთ ტერმინი *რაზმი*) რაოდენობრივად ბევრად აღემატებოდა; თანაფარდობა, პიშჩევიჩს თუ დაეჯერება, შეადგენდა 13.75:1. ეს უპირატესობა მით უფრო გამოხატული იყო, რომ ლეკებისგან განსხვავებით, მოკავშირეების განკარგულებაში იმყოფებოდა როგორც რუსული რეგულარული, ევროპულად მოწყობილი საველე არტილერია 4 ზარბაზნის (*ედინოროგის* სახით) ასევე „საკმაო რაოდენობის“ ქართული არტილერიაც (მის რაოდენობაზე, შემადგენლობაზე, ან ბრძოლაში მონაწილეობაზე არაფერი ვიცით; გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ რუსული გვერდით დააყენეს და, შეძლებისდაგვარად, იქიდან მოქმედებდა). მართალია, ლეკ მტაცებლებს რეგიონში შესანიშნავი მეომრების სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ წინააღმდეგ მოქმედებდნენ ევროპულად გაწვრთნილი, დისციპლინირებული, რეგულარული ჯარის (რუსული) ბატალიონები (რომლებიც ირაკლი II-ს ასე ეიმედებოდნენ). რაც შეეხება კავალერიას, რთული სათქმელია, რუსი *დრაგუნები* და *კაზაკები* რამდენად ვარგოდნენ შოკური ტაქტიკით მოქმედებისთვის; ამ შემთხვევაში შეიძლება ქართულ მხედრობას უპირატესობაც ჰქონოდა. ცალკე საკითხია, უკეთესი, ყოველ შემთხვევაში, შოკური ტაქტიკისთვის უფრო გამოსადეგი ცხენები მთიელებს ჰყავდათ, თუ რუსებსა და ქართველებს.

სამხედრო კამპანიისა და მუღანლოს ბრძოლა: ნარატივი

სამხედრო კამპანიის ანალიზს საწყისი მანევრების აღწერით დავიწყებთ.

გეგმის თანახმად, მზადდებოდა ერთობლივი, რუსთა და ქართველთა ლაშქრობა ჭარ-ბელაქანზე. თუმცა, გალაშქრება ჭიანურდებოდა. დუბროვინის მიხედვით, ერთი მხრივ, ქართული ჯარი ძალიან ნელა იკრიბებოდა;[71] მეორე მხრივ კი, ქართლ-კახეთის სამეფოს სახელისუფლებო აპარატის გაუმართავობის მიზეზით გაძნელდა სურსათის შეგროვება,[72] რომელზედაც ესოდენ დამოკიდებული იყვნენ რეგულარული ჯარის რუსული ბატალიონები. საქმე იმით დამთავრდა, რომ სურსათის ათდღიანი მარაგის მოპოვების შემდეგ, სამოილოვი ქართველთა შეგროვებას აღარ დაელოდა და ცალკე, მარტო რუსულ დანაყოფებთან ერთად გაილაშქრა.[73] სამოილოვის თბილისიდან გასვლის თარიღი ჩვენთვის ხელმისაწვდომ / ცნობილ წყაროებში აღნიშნული არ არის, მაგრამ მითითებულია, რომ 4 ოქტომბერს სამოილოვი უკვე ალაზანთან დადგა[74] (დუბროვინის მიხედვით, 4 ოქტომბერს გეგმავდა „ქიზიყში“ ყოფილიყო - 4-го

[71] იქვე, 47.
[72] იქვე.
[73] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 47-48; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 195.
[74] იქვე.

октября быть в Кизихах[75]). პიშჩევიჩის შენიშვნით, „ქიზიყის სოფელში“ (“в деревнях Кизиках”) მოხდა საქართველოში უკვე განლაგებული და პოტიომკინის მიერ საკუთარი დაცვიდან დატოვებული რუსული დანაყოფების შეერთება[76] (ცნობა ბუნდოვანია, როგორც ჩანს, რაღაც რუსული შენაერთი იქ ადრეც მოქმედებდა, სანამ თბილისიდან გამოსული რუსული ჯარის ძირითადი ნაწილი შეუერთდებოდა) (თარიღს პიშჩევიჩი არ უთითებს). დუბროვინის მიხედვით, მეფე ირაკლი „ქიზიყში“ („быть в Кизихах“) 4 ოქტომბერს უნდა ჩასულიყო, მაგრამ სინამდვილეში 4-ში თბილისი დატოვა, რუსებს კი მხოლოდ 7 ოქტომბერს შეუერთდა, *მაჩხანში;*[77] პოტტოს მიხედვით კი მხოლოდ 8 ოქტომბერს, ისიც მხოლოდ კავალერიის ნაწილით, მაშინ როდესაც ქართული ჯარის დანარჩენი ნაწილი ჯერ კიდევ რამდენიმე [დღის? - ი.ფ.] სავალში იმყოფებოდა.[78] როგორც ჩანს, თბილისიდან მაჩხაანამდე გზას მეფემ და ქართველებმა 3-5 დღე მოანდომეს; საფიქრებელია, სამოილოვიც, თბილისს სექტემბრის ბოლო დღეს, ან 1 ოქტომბერს დატოვებდა. უნდა აღინიშნოს, რომ არც რუსების, არც ქართველების თბილისიდან მაჩხანამდე გადაადგილების მარშრუტი უცნობია.

რუსული წყაროების მიხედვით,[79] სანამ ირაკლი II ქართველებთან ერთად სამოილოვს შეუერთდებოდა, ლეკები აგრძელებდნენ ალაზნისპირა სოფლების აწიოკებას. პოტტო ამტკიცებს, რომ რუსი ეგერები და კავალერია ცდილობდნენ სოფლების დაცვას, მაგრამ სავლელად დიდი მანძილის გამო ყველგან დროულად ვერ ასწრებდნენ, ხოლო რუსული ჯარის დაშლა პატარა რაზმებად [ყველგან რომ ყოფილიყვნენ და ყველგან მოესწროთ - ი.ფ.] საფრთხილო იყო.[80] პიშჩევიჩი ამგვარ ოპერაციებზე არაფერს ამბობს,[81] თუმცა ეს შეიძლება ამ ავტორის შეზღუდულობითაც აიხსნებოდეს.

ამასობაში დაიწყო რამდენიმედღიანი კოკისპირული წვიმა; პიშჩევიჩისა და პოტტოს მიხედვით ჯერ კიდევ ირაკლი II-ის ჩამოსვლამდე[82] (ანუ, 4-7/8 ოქტომბრის შუალედში); დუბროვინის მიხედვით კი უკვე რუსებისა და ქართველთა შეერთების შემდეგ (და 4 დღე წვიმდა).[83] ასე თუ ისე, გზები ატალახდა იმდენად, რომ, პოტტოს მიხედვით, არტილერიის (ქართული არტილერიის?) გადაზიდვა შეუძლებელი შეიქმნა; გარდა ამისა, ალაზანში წყალმა მკვეთრად იმატა და მდინარეზე ფონით გადასვლა გაძნელებული და შეუძლებელიც უნდა გამხდარიყო;[84] სხვათა შორის,

---

[75] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 48.

[76] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 65.

[77] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 48.

[78] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 195.

[79] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 48; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 195.

[80] იქვე.

[81] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 65.

[82] იქვე, 65; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 195.

[83] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 49.

[84] იქვე; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 195-196.

შეწყდა ლეკების თარეშიც - ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გადმოსვლას მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებდნენ, რუმბებით.[85]

არადა, მდინარეზე გადასვლა აუცილებელი იყო: მოკავშირეები აპირებდნენ ჭარ-ბელაქანში ლაშქრობის გაგრძელებას; მაგრამ ირაკლი II ვერ იღებდა გადაწყვეტილებას, ბელაქანზე გაელაშქრათ (დუბროვინის მიხედვით, შემდეგ იქიდან ჭარზე) თუ ჭარზე (დუბროვინის მიხედვით, გზად ლეკური სოფლების აკლებით).[86] ამ ყოყმანში დრო იკარგებოდა; უამინდობისა და ალაზნის ადიდების გათვალისწინებით, პოტტოს ვარაუდით, რაც ლოგიკურად გვეჩვენება, ლაშქრობა შეწყდებოდა, რომ არა მოწინააღმდეგის გამოჩენა.[87] დუბროვინის მიხედვით, სამოილოვიც ფიქრობდა ლაშქრობის ჩაშლას.[88]

მართალია, ალაზნის მარჯვენა (ქართლ-კახეთის სამეფოს კუთვნილ) ნაპირზე ჭარ-ბელაქნიდან (მარცხენა ნაპირიდან) ლეკების მასობრივად გადმოსვლას მდინარის ადიდება უშლიდა ხელს, იქ მაინც აგრძელებდნენ მოქმედებას ჯერ კიდევ წვიმებამდე გადმოსულ ლეკთა მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი რაზმები. პოტტოს მიხედვით, მათ წინააღმდეგ წამოწყებული ლაშქრობის ამბავი რომ გაიგეს (სტრატეგიული მოულოდნელობის უპირატესობა რუს-ქართველთა ლაშქარს უკვე აშკარად დაკარგული ჰქონდა), ჭარ-ბელაქნელებმა ლეკების ერთი დიდი რაზმი განჯიდან უკანვე გამოიწვიეს;[89] დუბროვინის მიხედვით კი ალაზნის მარჯვენა ნაპირას გადასულ ლეკთა რაზმი შეუერთდა რამდენიმე ასეულ სხვა ლეკსაც და განჯისკენ მიემართებოდა; მაგრამ რუსების მოახლოება რომ შეიტყო, უკან გამობრუნდა.[90] ეს მეორე ვერსია უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება: 7 ოქტომბრიდან (მაჩხანში რუსების მოსვლა) ვიდრე 14 ოქტომბრამდე (ბრძოლის თარიღი) მხოლოდ 1 კვირაა; ამ ვადაში ნაკლებ მოსალოდნელია, რომ უბატონო ლეკები შეთანხმებულიყვნენ და მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, მათ შიკრიკს განჯამდე მიეღწია, და ლეკების რაზმსაც განჯიდან ალაზნამდე მიეღწია.

მოკავშირეთა ბანაკში ლეკების უკან დაბრუნება თუ მათი გამოხმობა ადრევე გაიგეს; პოტტო ასახელებს რიცხვსაც - 12 ოქტომბერი.[91] პოტტოს მიხედვით 13 ოქტომბერს შესაბამისი მიმართულება დაზვერა კაზაკთა პატრულმა და მოიტანა ცნობა, რომ ლეკები ერთ [ერთი დღის? - ი.ფ.] სავალში ღამეს ატარებენ.[92] საფიქრებელია, პატრული 13 რიცხვის საღამოს ან უფრო 13-14 ოქტომბრის ღამე დაბრუნდებოდა (რახან ცნობა მოიტანა რომ ლეკებს უკვე შეეწყვიტათ მოძრაობა). მოკავშირეთა ლაშქარმა *დაუყოვნებლივ* დატოვა ბანაკი და მტრის მიმართულებით გაემართა.[93] ჩვენი აზრით, ლეკები მუღანლოს ფონით

---

[85] იქვე, 196.

[86] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 48-49; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196.

[87] იქვე, 196.

[88] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 49.

[89] იქვე.

[90] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 49.

[91] იქვე, Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196.

[92] იქვე.

[93] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 49; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196.

აპირებდნენ ჭარ-ბელაქანში დაბრუნებას, და მოკავშირეებიც ცდილობდნენ ფონამდე ლეკებზე ადრე მიეღწიათ, რომ მათთვის გზა გადაეღობათ. მოკავშირეებმა ლეკები დაინახეს 14 ოქტომბერს, დილით (დუბროვინი), თუ, საერთოდ, გამთენიისას (პოტტო); ეს იმაზე მიუთითებს, რომ ბანაკი მათ 13-14 ოქტომბრის ღამე დატოვეს, გათენებამდე, მართლაც რომ „დაუყოვნებლივ“ („тотчас“ / „тотчас же“).[94] დუბროვინი უთითებს, რომ სამოილოვი ირაკლი II-ს აღარ დაეკითხა და ბანაკი ისე დატოვა, მაგრამ ეს სრულიად დაუჯერებელია და ისტორიკოსის მიკერძოებულობაზე მიუთითებს - სინამდვილეში, თავად დუბროვინის მიხედვით, რასაც პოტტოც ადასტურებს, ქართველებმა, კერძოდ, ქართულმა კავალერიამ, რუსულ კავალერიასთან ერთად, ირაკლი II-ის მეთაურობით, დაასწრეს კიდევაც რუს ქვეითებს და ლეკებს პირველები მიუახლოვდნენ, თუმცა რუსული ქვეითების მიახლოებამდე შეტევაზე არ გადასულან[95] (რაც, სწორ გადაწყვეტილებად გვეჩვენება[96]). პიშჩევიჩი უბრალოდ წერს რომ ქართველებთან შეერთების შემდეგ გაილაშქრეს ალაზნისკენ, რომელსაც 13 ოქტომბერს მიაღწიეს, მომდევნო დღეს კი ლეკები „შეხვდათ“ („повстречались“).[97]

თავის მხრივ, ლეკებმა, დაინახეს რა მოკავშირეთა ლაშქარი, სიჩქარის მოსამატებლად ჩორთით წამოვიდნენ („пошли на рысях“),[98] აჩქარდნენ და პირველებმა მიაღწიეს მუღანლოს სოფელს (პოტტო) თუ ადგილს („урочище“) (დუბროვინი), სადაც მაშინ ხშირი ტყე იყო, რომ მისი გავლით ალაზნის მეორე მხარეს გადასულიყვნენ.[99]

ამრიგად, მუღანლოს ბრძოლა მოხდა 14 ოქტომბერს.

ბრძოლის I, საწყისი ფაზა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: სამხრეთი თუ სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებიდან ლეკები შედიან ალაზნისპირა ტყეში, მუღანლოს ფონთან; შესაძლოა, იწყებენ კიდევაც გადასვლას მდინარის მეორე მხარეს, ან ემზადებიან ამისთვის. იმავდროულად ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებიდან ირაკლი II-ის მეთაურობით ტყეს უახლოვდება ქართულ-რუსული კავალერია, რომელსაც მოჰყვება რუსულ-ქართული ქვეითი ჯარი. კავალერიის განზრახვაა დაიკავოს ტყის პირი, მაგრამ ლეკებმა დაასწრეს. ქართული კავალერია (ისევე როგორც, რუსული) თავს იკავებს ჩამოქვეითებისგან და ელოდება ქვეით ჯარს. ამასობაში ლეკების ნაწილს შეიძლება მოესწრო ფონით გადასვლა, მეორე ნაწილმა კი ტყეში თავდაცვითი პოზიცია დაიკავა. ბრძოლის I ფაზა მოწინააღმდეგეთა უშუალო დაახლოებისა და „ბრძოლის ველზე“ მათი დანაყოფების განლაგების სტადიას წარმოადგენდა.

---

[94] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 49; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196.

[95] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 49; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196.

[96] დუბროვინი არ უშვებს ხელიდან შემთხვევას ქართველებს წაკბინოს: („но до прибытия пехоты нашей ни один из грузин к лесу не подвинулся и самые их князья стояли неподвижно“). Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 49.

[97] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66.

[98] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 49.

[99] იქვე; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196.

ბრძოლის II, გადამწყვეტ ფაზაში კი მოხდა მოწინააღმდეგეთა უკვე უშუალო ჩართვა ბრძოლაში, ამასთანავე, ბრძოლა დიდი ალბათობით არ შემოიფარგლა თოფ-ზარბაზნის სროლით, და (ტყეში) ცივი იარაღის გამოყენებამდეც მივიდა.

ყველა წყარო ამახვილებს ყურადღებას ლეკების მიერ *ტყეში* გაწეულ წინააღმდეგობაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლეკების მთელი რაზმი მუღანლოს ფონთან ალაზნისპირა ტყეში შევიდა (საფიქრებელია, ჩამოქვეითების შემდეგ; ცხენების ადგილსამყოფელი კი გაურკვეველი რჩება - იქვე, ტყეში, რომელიც არც ისეთი ხშირი იყო?). ლეკებმა დაიკავეს თავდაცვითი პოზიცია ტყის პირას და ხეებზედაც კი აძვრნენ, საიდანაც თავდამსხმელ რუს-ქართველებს თოფებით ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს.[100] საფიქრებელია, ალაზანზე გადასვლა მათ მტრის საცეცხლე ზემოქმედების ქვეშ შეაჩერეს თუ შეანელეს (შესაძლოა, განაახლეს ბრძოლის დასასრულისკენ, იხ. ქვემოთ).

აღსანიშნავია, რომ პიშჩევიჩისა და პოტტოს მიხედვით, ალაზნის მოპირდაპირე, მარცხენა მხარეს ჭარ-ბელაქნის სოფლებიდან დიდი რაოდენობით გამოსული ლეკებიც შეგროვდნენ.[101] სტრიქონებს შორის იგივე იკითხება დუბროვინთანაც, რომელიც, მართალია, ლეკების იქ გამოჩენას არ აღნიშნავს, მაგრამ წერს, რომ რუს-ქართველთა მარცხენა (ალაზნისპირა) ფლანგზე არტილერია ისე განლაგდა, რომ შეეძლო *მოპირდაპირე ნაპირისთვის ესროლა*[102] (ანუ, საფიქრებელია, იქ განლაგებული მოწინააღმდეგისთვის); ალაზნის მოპირდაპირე მხარეს სროლაზე წერს პოტტოც.[103] ალაზნის მარცხენა ნაპირზე მყოფი და მდინარესთან მიახლოებული ცალკეული ლეკების თოფების სროლის ეფექტური დისტანციაც 100-300 მეტრი იქნებოდა, ანუ, თუნდაც მარჯვენა ნაპირზე გადასვლის გარეშე, მარცხენა ნაპირიდან ლეკები მოკავშირეთა მარცხენა ფლანგზე მაინც გარკვეულ საცეცხლე ზემოქმედებას ახდენდნენ, ან, ყოველ შემთხვევაში, აიძულებდნენ ქვეითებს და მით უფრო კავალერიას, უშუალოდ ალაზნის პირს მორიდებოდნენ (?).

ტყეში გამაგრებულ ლეკებზე მოკავშირეებმა შეტევა, ბუნებრივია, ქვეითი ჯარით განახორციელეს; ამასთანავე მასზე ცეცხლითაც ზემოქმედებდნენ. არტილერია, ანუ, საფიქრებელია, ყველაზე ცოტა, 4 რუსული ჯედინოროგი, მოთავსდა მოკავშირეთა მარცხენა ფლანგზე; პოტტოს მიხედვით - პატარა შემაღლებაზე; დუბროვინის მიხედვით კი - ღია მინდორში.[104]

ტყეზე შეტევა რუსებმა წამოიწყეს ბატალიონების შემადგენლობიდან გამოყოფილი ეგერთა ორი კოლონით.[105] პოტტოს მიხედვით, ორივე კოლონა 200

---

[100] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197.

[101] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66-67; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197.

[102] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50.

[103] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196-197.

[104] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196-197.

[105] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 49-50; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196.

ეგერისგან შედგებოდა;[106] დუბროვინის მიხედვით კი მარცხენაში 100 ეგერი იყო (მეთაური პორუჩიკი გოლოკტიონოვი), მარჯვენაში კი 200 (მეთაური პოდპოლკოვნიკი არშენევსკი); მარცხენა კოლონის რეზერვში იყო პოლკოვნიკი მერლინი ეგერთა მთიული ბატალიონით, მარჯენას კი პოდპოლკოვნიკი კვაშნინ-სამარინი ეგერთა ბელორუსიული ბატალიონით.[107] ორივე კოლონის საერთო ხელმძღვანელობა პატივად ხვდა პრინც გესენ-რეინსფელდს.[108] პიშჩევიჩის მიხედვით კი კოლონა მხოლოდ ერთი იყო, 200-კაციანი, და მას პრინცი გესენ-რეინსფელდი მეთაურობდა.[109] დუბროვინის ცნობა, როგორც ყველაზე დეტალური, უფრო სანდოდ გვეჩვენება.

დუბროვინის მიხედვით, მარჯვენა ფლანგზე იდგნენ კაზაკები და რამდენიმე ასეული საუკეთესო ქართველი მსროლელი („с несколькими стами лучших грузинских стрелков“).[110] არ არის მითითებული ქართული კავალერიის ადგილი. იმყოფებოდა ის მეფესთან ერთად (იხ. ქვემოთ)? თუ ამ რამდენიმე ასეულ საუკეთესო ქართველ „მსროლელში“ სწორედ ქართველი კავალერისტები იგულისხმებიან?

ბატალიონებს შორის, ანუ პოზიციის შუაში განლაგდნენ დრაგუნები[111] [150-მდე? - ი.ფ.].

განსხვავებით დუბროვინისგან, პოტტოს წერს, რომ კავალერია ორივე ფლანგზე განთავსდა.[112] რთული სათქმელია, იყო თუ არა კავალერია მარცხენა ფლანგზე. ამას უკავშირდება კიდევ ერთი კითხვა, რომელზედაც ასევე არ გვაქვს პასუხი - მარცხენა ფლანგზე განლაგებულ არტილერიას ვინმე თუ იცავდა, - იქნებ ცხენოსანი ჯარის რაღაც დანაყოფი? თუ ქვეითი ეგერები?

ქართული *ქვეითი* ჯარი, პოტტოს თქმით, „ცუდად ორგანიზებული და კიდევ უარესად შეიარაღებული“, დასაწყისში რეზერვში დატოვეს, რუსების უკან.[113] დუბროვინიც წერს, რომ ქართული ჯარები (არ აკონკრეტებს, თუ რა სახეობა) რუსების უკან იდგნენ.[114] რუსული წყაროების მიხედვით, მათ შორის, თვითმხილველი და ბრძოლის მონაწილე პიშჩევიჩის მიხედვით, იქვე, ზურგში იმყოფებოდა ირაკლი II-ც, რომელიც ბრძოლის I ფაზაში, ჩანს, მოკავშირეთა, ან, ყველაზე ცოტა, ქართულ კავალერიას მეთაურობდა და ბრძოლის ველზედაც პირველი მივიდა. მეფეს თან ახლდა *რუსებისგან* შემდგარი საგანგებო დაცვის რაზმი: 40 საუკეთესო დრაგუნი და 10 კაზაკი, რომელთაც გენერალ სამოილოვის დავალებით პიშჩევიჩი მეთაურობდა.[115]

---

[106] იქვე.

[107] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 49-50.

[108] იქვე, 49; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 196.

[109] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66.

[110] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50.

[111] იქვე.

[112] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197.

[113] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197.

[114] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50.

[115] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197; Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66.

რუს-ქართველთა ლაშქრის დისპოზიცია და საბრძოლო გეგმა მეტ-ნაკლებად მწყობრად და არსებითი წინააღმდეგობების გარეშე არის გადმოცემული პოტტოსა და დუბროვინის, ასევე (ნაწილობრივ) ბრძოლის მონაწილე პიშჩევიჩის მიერ, და, როგორც სამუშაო ვერსია მაინც, სავსებით მისაღებად გვეჩვენება.

პოტტოს მიხედვით, შეტევის დაწყების სიგნალს სამი რაკეტის გაშვება იყო (გამოსაკვლევია, ამ პერიოდი რუსეთის იმპერიის ჯარში რა სიგნალებს იყენებდნენ): არტილერიამ ტყეს ცეცხლი გაუხსნა, მოწინავე კოლონები კი მსწრაფლ ტყისკენ გაემართნენ.[116]

ლეკებმა შეტევაზე გადასულებს ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს, შემდეგ კი, ჩანს, პირისპირაც შეებრძოლნენ, და მედგარი წინააღმდეგობაც გაუწიეს: ბუტკოვი, პოტტოც და დუბროვინიც წერენ შეუპოვარ და ხანგრძლივ, *ხუთსაათიან* (sic!) ბრძოლაზე.[117] პიშჩევიჩის მიხედვით, „ჩვენიანთა შეტევა სასტიკი იყო, ლეკთა თავდაცვა - თავზე ხელაღებული“ („Наступление наших было жестоко, лезгинская оборона отчаянна“).[118] დეტალები პოტტოსთან არის გადმოცემული, ნაწილობრივ ასევე პიშჩევიჩთან (დუბროვინთან, რატომღაც, არა). პოტტოს და პიშჩევიჩის მონაცემები ერთმანეთს კარგად უთანხმდება, რამაც თითქოს უნდა დაგვარწმუნოს მათ სარწმუნოობაში, მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ პოტტო იცნობდა პიშჩევიჩის მემუარებს (იქიდან ციტატაც მოჰყავს).[119] ამრიგად, დამოუკიდებელი დადასტურება არ გვაქვს. პიშჩევისა და პოტტოს ცნობები მაინც იმსახურებს განხილვას. როგორც ჩანს, ეგერებმა შეძლეს ტყის პირი დაეკავებინათ, მაგრამ ტყის სიღრმეში ვეღარ წაიწიეს; ლეკების მედგარ და საკმაოდ წარმატებულ წინააღმდეგობაზე მიუთითებს შემდეგი გარემოებები (პოტტოსა და, ნაწილობრივ, პიშჩევიჩის მიხედვით):

- სამოილოვს მოუწია ებრძანა ორივე ბატალიონის პოდპოლკოვნიკებისთვის (მერლინისა და კვაშნინ-სამარინისთვის), რომ მოწინავე კოლონებისთვის თავისი ბატალიონებით (ბატალიონების დარჩენილი ნაწილით) მხარი დაეჭირათ (პოტტო[120]);
- შექმნილ მდგომარეობაში გასარკვევად სამოილოვს თავად მოუწია ტყეში შესვლა, პიშჩევიჩის რაზმთან ერთად (ირაკლი II-ის დაჟინებული თხოვნით პოტტოს მიხედვით;[121] რუსი გენერლის ბრძანებით, პიშჩევიჩის მიხედვით[122]); თავისიანების გასამხნევებლად;[123] პოტტოს მიხედვით, სამოილოვი და პრინც გესსენ-რეისფელდისა ორივენი ამხედრებულები

[116] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197.
[117] Бутков, *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год*, 158; Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197.
[118] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66.
[119] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197.
[120] იქვე.
[121] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197.
[122] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66.
[123] იქვე.

მეთაურობდნენ ბრძოლას და უარს ამბობდნენ ჩამოქვეითებაზე (რომ თანამებრძოლეები გაემხნევებინათ);[124]

- ტყეში სამოილოვს მოუწია ჩამოექვეითებინა დრაგუნები და ისინი ბრძოლაში ჩაერთო, ვინაიდან ეგერთა ბატალიონები იგვიანებდნენ;[125] დრაგუნები გამოიყენეს ეგერთა ცეცხლის გასაძლიერებლად (პიშჩევიჩი[126]);
- „ნახევარ საათში“ (პოტტო[127]) ბრძოლაში უკვე ჩართული იყო (ანუ, *მოუწიათ ჩართვა*) ყველა რუსი ქვეითი და ქართველთა ქვეითი ჯარის ნაწილიც კი;[128] სწორედ ამ დროს დაიჭრა (როგორც რამდენიმე დღეში გაირკვა - სასიკვდილოდ), რუსული სამსახურის გერმანელი პრინცი, და ცხენიდან ჩამოვარდნას მხოლოდ სამოილოვის მიერ დაჭერამ იხსნა;[129]
- პიშჩევიჩის მიხედვით, სამოილოვმა, რომელიც უშუალოდ მეთაურობდა ტყეში შესულებს, ბრძანა *საერთო შეკრება* („приказал ударить общий сбор“), რომ ტყიდან თავისიანები გამოეძახა, ვინაიდან *რუსთა და ქართველთა ზარალი უკვე საკმაოდ შესამჩნევი იყო, სარგებელი კი არ ჩანდა* („урон наших и Грузин (которые также в огонь вмешались) уже был довольно замечателен, а пользы не предвиделось“);[130] პოტტოც აღნიშნავს, რომ პრინცის სისხლში ამოსვრილი სამოილოვის მნახველმა (რუსმა?) *ჯარისკაცებმა გაავრცელეს ჭორი, რომ ორივე მეთაური მოკლეს თუ დაჭრეს - და ზოგიერთ ნაწილში არევ-დარევა დაიწყო...* („в некоторых частях произошло замешательство“).[131] დაბნეულობის აღმოსაფხვრელად, სამოილოვს პირადად მოუწია ბრძოლის მთელი ხაზი მოევლო და წესრიგი აღედგინა.[132] პოტტოს მიხედვით, ჭორმა ირაკლი II-მდეც კი მიაღწია, და ქართველი მეფე მცირე ამალით ბრძოლის ადგილას პირადად მივიდა და არ დამშვიდებულა, სანამ მტრის საცეცხლე ზემოქმედების ქვეშ სამოილოვი საღ-სალამათი არ ნახა; ირაკლი II იქვე დარჩა და უკვე სამოილოვს მოუწია მეფის დარწმუნება, სახიფათო ადგილს გასცლოდა.[133]

როგორც ვხედავთ, ბრძოლა არ წარიმართა რუსების (და ქართველების) უპირობო უპირატესობით: ის დროში გაიწელა და გარდამავალი უპირატესობითაც მიმდინარეობდა; ყველაზე ცოტა ერთხელ, რუსები (და ქართველები) იმდენად შედრკნენ, რომ რუს გენერალს მათი გამხნევება ბრძოლაში პირადად ჩართვით დასჭირდა. პიშჩევიჩის მიხედვით, მიუხედავად სამოილოვის პირადი სიმხნევისა, მოკავშირეებს უკანდახევაც კი მოუწიათ.

---

[124] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197-198.
[125] იქვე, 197.
[126] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66.
[127] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197.
[128] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 197.
[129] იქვე, 198.
[130] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66.
[131] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 198.
[132] იქვე.
[133] იქვე.

საფიქრებელია, ბრძოლა ტყეში ნაწილობრივ მაინც დაიყვანებოდა საცეცხლე კონტაქტამდე, და არა პირისპირ შერკინებამდე; ამას გვაფიქრებს როგორც, დავუშვათ, დრაგუნთა ჩამოქვეითება *ცეცხლის გასაძლიერებლად*, ასევე, ბრძოლის ხანგრძლივობა - 5 საათზე მეტი.

ბრძოლის III, ფინალურ სტადიაში კი გამოიკვეთა ბრძოლის გამოსავალი.

დუბროვინისა და პოტტოს მიხედვით, რუსებმა და ქართველებმა ტყე მთლიანად დაიკავეს და ლეკები იქიდან გამორეკეს.[134] ალაზნის პირთან მიბჯენილ ლეკებს მოუწიათ ადიდებული მდინარის ცურვით გადალახვა, რუსი ეგერებისა და რუსული არტილერიის ცეცხლის ქვეშ;[135] ტყიდან გამოქცეულებს კი მოკავშირეთა კავალერია ჩეხავდა.[136]

ტრადიციული ისტორიოგრაფიის მიხედვით გამარჯვებულმა მხარემ, - ქართველებმა და რუსებმა ღამე იქვე, ბრძოლის ველზე გაატარეს[137] (საფიქრებელია ფონთან ყარაულს დატოვებდნენ).

სულ სხვა აზრისაა ბრძოლის გამოსავალზე შაჰბან ხაფიზოვი. დაღესტნელ ავტორს ეჭვი შეაქვს ბრძოლის მიმდინარეობის პოტტოსმიერ ნარატივში: მისი აზრით, პრინც რეინსფელდის „მოკვლის“[138] შემდეგ, და „ხუნძების“[139] მიერ დაკავებული ხელსაყრელი, ძლიერი თავდაცვითი პოზიციის გათავლისწინებით, ირაკლი II და სამოილოვი ვერც კავალერიას გამოიყენებდნენ და ვერც უკანდახევას ბრწყინვალე გამარჯვებად სავარაუდოდ („вряд ли“) ვეღარ აქცევდნენ.[140] ხაფიზოვი *ვარაუდობს* (“Вполне вероятно”[141]), რომ რუსებსა და ქართველებს ლეკების მიერ დაკავებული ტყიანი მასივიდან უკან უნდა დაეხიათ; სხვანაირად რომ ვთქვათ, მუღანლოს ფონთან ტყეში გამაგრებულმა ლეკებმა მოიგერიეს რუსების და ქართველების შეტევა, და შემდეგ ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ჭარ-ბელაქანში ორგანიზებულად გადავიდნენ; ამრიგად, მისი აზრით, *ლეკები არ დამარცხებულან*.[142] ხაფიზოვის უნდობლობას იწვევს პოტტოს სხვადასხვა თხზულებაში მოყვანილი ლეკების დანაკარგების განსხვავებული ციფრიც - 200 და 300; მით უფრო რომ, ხაფიზოვის აზრით, ლეკების 400-კაციანი რაზმიდან ამდენი

---

[134] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 198.

[135] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 198.

[136] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 198.

[137] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 200.

[138] სინამდვილეში, ის მხოლოდ დაჭრეს და რამდენიმე დღე კიდევ იცოცხლა

[139] ავტორი ბრძოლაში მონაწილე ლეკებს ხუნძებს უწოდებს ხოლმე, თუმცა მათი ეთნიკური წარმომავლობა უცნობია.

კიდევ ერთგან ავტორი ლეკთა ამ რაზმს პოეტურად უწოდებს *ჭარის ახალგაზრდებს, რომლებიც განჯიდან სამშობლოში ბრუნდებოდნენ* („небольшим отрядом джарской молодежи, возвращавшимся из Гянджи к себе на родину“). Хапизов, *Ума-Нуцал (Умахан) Великий (очерк истории Аварского нуцальства второй половины XVIII в.)*, 79. ამ რაზმში გაერთიანებულ ლეკთა ასაკი და ეთნიკური წარმომავლობა უცნობია.

[140] იქვე, 78.

[141] იქვე.

[142] იქვე, 77-79.

(50-75%) ვერ დაიღუპებოდა; გარდა ამისა, შემტევ მხარეს (რუსებსა და ქართველებს), რომელთაც ხეებიდან ლეკები ესროდნენ, ერთი თანრიგით („на порядок больше“) მეტი ზარალი უნდა ჰქონოდათ.[143]

მაშ, რა მოხდა სინამდვილეში -

1) ქართველებმა და რუსებმა გაიმარჯვეს, - ტყე დაიკავეს, ლეკების მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლეს და დაჭრეს, დარჩენილები ალაზანს მიაბჯინეს და მდინარეში ჩააგდეს, სადაც ტყიდან გამოქცეულთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხრჩო ან ქვეითებისა და არტილერიის ცეცხლს ემსხვერპლა? თუ,

2) ლეკებმა გაიმარჯვეს, - ძლიერი თავდაცვითი პოზიციისა და შეუპოვარი წინააღმდეგობის წყალობით რუსებსა და ქართველებს თავისი ცეცხლით დიდი ზიანი მიაყენეს, წარმატებით მოიგერიეს მათი შემოტევა, ტყიდან უკან დაახევინეს, და შემდეგ მშვიდად გადავიდნენ ალაზნის მეორე მხარეს, სამშვიდობოს? რაც იმას გულისხმობს, რომ ეს *გამარჯვება*, რომელიც ასეთი ზარზეიმით აღნიშნეს თბილისში დაბრუნებულებმა, და ოფიციალურ რელაციებსა თუ ირაკლის გაგზავნილ წერილებში აღწერეს, უფრო ლეკების განადგურებაში წარუმატებლობის, ანუ, ფაქტიურად, მარცხის შესანიღბად გამიზნული პროპაგანდა და ფაქტების გაყალბება იყო?

ხაფიზოვის მოსაზრება, რომ თავდაცვაში მყოფ ლეკებს ნაკლები (თანაც, ერთი თანრიგით ნაკლები) დანაკარგი უნდა ჰქონოდათ, საკმაოდ მიამიტურად გვეჩვენება - მოწინააღმდეგეთა დანაკარგები ძალიან ბევრი ფაქტორის მოქმედების ზედდების შედეგია ხოლმე; არ არის სავალდებულო, რომ თავდაცვაში მყოფ მხარეს ყოველთვის ნაკლები და, მით უფრო, ბევრად ნაკლები დანაკარგი ჰქონდეს. ლეკებსაც ხომ ესროდნენ, მათ შორის ზარბაზნებიდანაც (და ხიშტებსა თუ ხმლებს ურტყავდნენ), თანაც ათჯერ უფრო მრავალრიცხოვანი მტერი უტევდა.

იმაში კი ვეთანხმებით დაღესტნელ ისტორიკოსს, რომ მხარეთა დანაკარგები (იხ. ცხრილი 4) კრიტიკულ ანალიზს საჭიროებს.

ბრძოლაში ქართველთა დანაკარგი ბუტკოს მიხედვით 20 *მოკლული* იყო; დაჭრილთა რიცხვზე მსჯელობისთვის შეიძლება ვიხელმძღვანელოთ მეტ-ნაკლებად სტანდარტული თანაფარდობით დაჭრილთა და მოკლულთა შორის - 3:1; მაშინ ქართველთა დანაკარგი გამოვა დაახლოებით 80 ადამიანი (20 მოკლული და 60 დაჭრილი); ქართველთა ინტენსიურ ჩართვაზე ბრძოლაში, ბრძოლის სიცხარესა და დანაკარგებზე მიუთითებს დაჭრილ და მოკლულ *წარჩინებულ* ქართველთა (რომლებიც შეიძლება ქართული ლაშქრის ოფიცრებად მივიჩნიოთ) საგულისხმო რიცხვი - 2 მოკლული და 3 დაჭრილი თავადი (იხ. პოტტო; H-25 ხელნაწერშიც მოიხსენიება მოკლულად „დიმიტრი აბხაზი“), მისკარბაში იოსები, საზოგადოდ, „მრავალნი სხვანიცა“ (ხელნაწერი H-25). ამას უნდა დაემატოს დაჭრილ-მოკლული რუსების რაოდენობა - 17 თუ 41 (1 მაღალი რანგის ოფიცრის ჩათვლით). შესაბამისად, მოკავშირეთა საერთო დანაკარგი შეიძლება შეფასდეს როგორც 100-120 რიგითი და ოფიცერი / წარჩინებული.

[143] იქვე, 79.

ეს არცთუ მცირე ციფრია; აკი ბრძოლის მონაწილე და იმ ტყეში პირადად ნაბრძოლები პიშჩევიჩიც ახსენებდა *შესამჩნევ* დანაკარგს (თუმცა, *ახალ ისტორიაში* და *H-25 ხელნაწერში* დანაკარგი დახასიათებულია როგორც „მცირედი“).

რაც შეეხება ლეკებს, მათი 50-75%-იანი დანაკარგი არ მიგვაჩნია დაუჯერებლად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრძოლა არტილერიის მქონე, და ბევრად უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან (1,500 რუსი ეგერი და დრაგუნი და ქართველთა უცნობი რაოდენობა?) 5 საათი (?) გაგრძელდა, და ლეკებმა საბოლოო ჯამში მაინც დატოვეს ბრძოლის ველი (ტყე), თანაც ადიდებული მდინარის ფორსირებით, რასაც ხაფიზოვიც არ უარყოფს; შესაბამისად, მათ, საფიქრებელია, ვერ ექნებოდათ დაჭრილთა ეფექტურად ევაკუაციის საშუალება (საპირისპიროდ დუბროვინის მიერ ევაკუირებული ცხედრების მოხსენიებისა). ამრიგად, დაჭრილ ლეკთა უმრავლესობა ტყეში დარჩებოდა, გამარჯვებულთა ლმობიერების იმედად. ლეკთა დანაკარგების განსხვავებული ციფრები შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ გაცხარებულ ბრძოლაში რუსები და ქართველები ვერ დაითვლიდნენ, თუ რამდენი ლეკი შევიდა ალაზანში და რამდენმა მოახერხა ცეცხლის ქვეშ მეორე ნაპირზე გადასვლა. გამარჯვებულებს ტყეში შეიძლება მიახლოებით 200 ცხედარი (დუბროვინის თანახმად) ეპოვათ (დაჭრილებს გამარჯვებულები დიდი ალბათობით ადგილზევე გაუსწორდებოდნენ; ბუტკოვის მიხედვით ტყვედ მხოლოდ 2 ლეკი აიყვანეს), ხოლო მდინარეში დამხრჩვალთა რიცხვად პირობითად დაახლოებით 100 აეღოთ.[144] ქართველებსა და რუსებს თუ 100-120 ადამიანი დაუჭრეს ან მოუკლეს, ლეკებს 200 მეომარი მაინც რომ დაეკარგათ, 300 თუ არა - ამაში შეუძლებელსა და წარმოუდგენელს ვერაფერს ვხედავთ: ლეკები არტილერიის ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდნენ და, რაც მთავარია, ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიება უწევდათ; ბრძოლა არ შემოიფარგლა მხოლოდ ტყიდან ლეკების და ღია ადგილას დაუცველად განლაგებული რუსების ერთმანეთისთვის სროლით, რაშიც უპირატესობა ტყის საფარველის მქონე ლეკებს ექნებოდათ, - ტყეში რუსების 2 კოლონა შეიჭრა, რომელთაც შემდეგ დანარჩენი ეგერები და ქართველების დაემატნენ; მხოლოდ ეს 2 კოლონაც კი რიცხობრივად ლეკების ტოლი ან თითქმის ტოლი იყო; ლეკების დანაკარგი გაიზრდებოდა ექსტრემალურ პირობებში ადიდებული ალაზნის ფორსირებისასაც.

ბრძოლის მსვლელობასა და გამოსავალზე მსჯელობისას ძალიან მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ როგორ მთავრდება მუღანლოს ფონთან დაპირისპირება ალექსანდრე პიშჩევიჩის მიხედვით: სამოილოვი ბრძანებს სიგნალი მისცენ, რომ „თავისიანები“ ტყიდან გამოიწვიონ, სადაც რუსებმაც და ქართველებმაც უკვე საკმაო ზარალი ნახეს.[145] სულ ეს არის - ამით ასრულებს პიშჩევიჩი ბრძოლის აღწერას. იმავე აბზაცში წერს რომ ალაზნის ფორსირება გაძნელებული იქნებოდა, მდინარის ადიდებისა და მოპირდაპირე მხარეს დიდი

[144] გარდა ამისა, კითხვა იბადება, რა იქნა ტყეში ჩორთით მისული, ანუ ამხედრებული ლეკების ცხენები? იმავე ტყეში ბრძოლას შეეწირნენ?

[145] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 66.

რაოდენობით ლეკების გამოჩენის გამო.[146] ბრძოლის მონაწილე რუსი ოფიცერი არაფერს წერს ლეკების დანაკარგზე თუ ტყის დაკავებაზე. ლაშქრობისა და ბრძოლის მონაწილე პიშჩევიჩის მემუარები კი ჭეშმარიტ პირველწყაროს წარმოადგენს,[147] მაგრამ აბსოლუტურ ნდობას არ იმსახურებს; ავტორი ძირითადად თავისი დონჟუანური თავგადასავლების აღწერით არის დაკავებული; ჭარ-ბელაქანზე ლაშქრობისა და მუღანლოს ბრძოლის აღწერის დაახლოებით 60% კი ეთმობა ღამე გზააბნეული რუსი ოფიცრების თავგადასავალს, ხოლო უშუალოდ ისტორიული მნიშვნელობის სამხედრო მოქმედებებს კი ტექსტის მხოლოდ 20-30%; ბრძოლას პიშჩევიჩი ძალიან მოკლედ აღწერს და ისიც, ჩანს, ბრძოლის იმ ფრაგმენტს, რომელშიც თავად მონაწილეობდა.[148] მიუხედავად ამისა, მაინც გვენიშნება: ბრძოლა რომ გაგრძელებულიყო, ნუთუ მისი მონაწილე პიშჩევიჩი მასზე სიტყვასაც აღარ დაწერდა? თავის თავს მაინც არ წარმოაჩენდა რამენაირად? რუსებს (და ქართველებს) მართლაც ხომ არ მოუწიათ ტყიდან უკან დაეხიათ და იქ ვეღარ დაბრუნდნენ, სანამ ლეკებმა არ დაცალეს?

პიშჩევიჩის მემუარები საკმაოდ პირადულია და ავტორმაც იმის დაწერა გაბედა,[149] რაც რუსულ ოფიციალურ დოკუმენტაციაში ვერ მოხვდებოდა: უკვე სამოილოვთან ერთად ჩრდილო კავკასიაში დაბრუნების კონტექსტში პიშჩევიჩი ახსენებს *„ლეკებზე ვითომდა სახელოვან გამარჯვებას, რომლადაც მაშინ გაასაღეს 14 ოქტომბრის შეიძლება ითქვას შეტაკება“* („после мнимо-одержанной над Лезгинцами знаменитой победы, за какую выдавали тогда можно сказать сшибку 14 октября.“[150]) (sic!). ბრძოლის უშუალო მონაწილის ეს არაოფიციალური, სხვათა შორის წამოსროლილი ფრაზა მრავლისმთქმელია. ასეთი იყო პიშჩევიჩის მოგონება და შთაბეჭდილება ბრძოლაზე და მის გამოსავალზე. სხვა წყაროებით, მართალია, არ დასტურდება, მაგრამ გასათვალისწინებელია. მკვეთრად გაიზარდა ალბათობა იმისა, რომ ბრძოლისა და წარმატების მასშტაბი მოკავშირეებმა, არ არის გამორიცხული, მართლაც მნიშვნელოვნად *გაზვიადეს* და *გაალამაზეს*; რომ რუსულ (ქართულ?) ლაშქარში ბრძოლის გამოსავალი ერთგვარ დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებას ბადებდა.

ის რომ ლეკებს ტყის დატოვება და ადიდებულ მდინარეზე გადასვლა მოუწიათ, ეჭვს არ იწვევს. სხვა ამბავია, რომ, გარკვეული ალბათობით, ეს მართლაც იყო ლეკთა რაზმის შედარებით ორგანიზებული მანევრი, რომელსაც არიერგარდი უზრუნველყოფდა, რუს-ქართველთა შემოტევის მოგერიების შემდეგ თუ მის თანადროულად; და არა მდინარის პირთან მიბჯენილი ცალკეული მეომრების პანიკური გაქცევა. ამასთანავე, დანაკარგი არსებითი იყო როგორც რუსებში, ასევე ქართველებში (მათ შორის რამდენიმე უმაღლესი ოფიცერიც - რუსულ სამსახურში ჩამდგარი გერმანელი პრინცი და რამდენიმე ქართველი თავადი). სხვათა შორის, ქართველების დიდი (რუსებზე მეტი) დანაკარგი

---

[146] იქვე, 66-67.

[147] ვამზადებთ მათ ანალიტიკურ პუბლიკაციას.

[148] იქვე, 65-67.

[149] შაჰბან ხაფიზოვს ეს ცნობა გამორჩა.

[150] იქვე, 69.

ბრძოლაში მათ აქტიურ (შესაძლოა, რუსებზე უფრო აქტიურ) ჩართულობაზე მეტყველებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბრძოლის ხანგრძლივობა (5 საათი?) გვაფიქრებს, რომ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უბრალოდ ერთმანეთისთვის ტყეში სროლამდე დაიყვანებოდა; 400 ლეკისთვის 1,500 რუსს და გაურკვეველი რაოდენობის ქართველს პირისპირ რომ შეეტია, ბრძოლა, საფიქრებელია, უფრო მალე დასრულდებოდა.

ამასთანავე, თვით ის ფაქტი, რომ ლეკებს მოუწიათ ალაზნის ფორსირება, თანაც მეტად არახელსაყრელ პირობებში - მდინარე ადიდებულიყო, ფონს და მდინარეს კი, დიდი ალბათობით, მართლაც მტრის ქვეითები და არტილერია ესროდნენ - იმაზე მიუთითებს, რომ მდინარის მეორე მხარეს გადასვლა არც ნებაყოფლობითი იყო და არც დანაკარგს მოკლებული; სავარაუდოდ, არც მთლად ორგანიზებული. ლეკებს ტყიდან მტერი რომ გაედევნათ, რატომ უნდა ეცადათ ასეთ პირობებში მდინარის ფორსირება? ან, უბრალოდ, უკან რატომ არ დაიხიეს, და ტყეს და მტერს რატომ არ გაეცალნენ იმავე მიმართულებით, საიდანაც მოვიდნენ, ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ? ლოგიკა გვკარნახობს, რომ ლეკები ქართველებმა და რუსებმა მართლაც მდინარესთან თუ არ მიაბჯინეს, ყოველ შემთხვევაში ისეთ მდგომარეობაში მაინც ჩააგდეს, მათზე ისეთი ზეწოლა განავითარეს, რომ ცეცხლის ქვეშ (?) ადიდებული ალაზნის ფორსირება ამჯობინეს.

ჩვენი აზრით, ქართველთა და რუსთა გამარჯვება ნამდვილად არ იყო ისეთი ცალსახა, როგორც ეს მოკავშირეებმა წარმოაჩინეს; მაგრამ, არც ლეკებს გაუმარჯვიათ. ჭეშმარიტება სადღაც შუაში იმალება: მართალია არსებითი (თუმცა, მტერზე ნაკლები?) დანაკარგის ფასად, მაგრამ მოკავშირეებმა თუ არ დაშალეს, ნაწილობრივ მაინც გაანადგურეს ლეკთა საკმაოდ მოზრდილი რაზმი, (გა)დარჩენილები კი დამატებითი დანაკარგებით ადიდებულ ალაზანს იქით გადარეკეს თუ დაახევინეს. მათვე შერჩათ *ბრძოლის ველი* (ამ შემთხვევაში უფრო *ტყე*) და მტრის *ალმები*, რომელთა ნაწილი სამოილოვმა პოტიომკინსაც კი გაუგზავნა (?).[151] საგრძნობი იქნებოდა ბრძოლისა და მისი გამოსავლის მორალური შედეგი: როგორი დანაკარგიც არ უნდა ჰქონოდათ ქართველებსა და რუსებს, მთავარი მაინც ის იქნებოდა, რომ ლეკებს დაანახეს - ალაზანს აქეთ გადმოსვლა და ქართლ-კახეთის სამეფოში შემოჭრა იმდენად უსაფრთხო და სარფიანი საქმე აღარ იყო.

აღნიშნულის გათვალისწინებით, და მიუხედავად ლაშქრობის შეწყვეტისა, თავად მუღანლოს ფონის ბრძოლას მაინც ქართველთა და რუსთა ერთობლივ *გამარჯვებად* ჩავთვლიდით.

მომდევნო დღეს მოკავშირეებმა უარი თქვეს ლაშქრობის გაგრძელებაზე, ანუ, (ადიდებული) ალაზნის გადალახვაზე და თბილისში გამობრუნდნენ.[152] ამას

---

[151] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 198.

[152] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50; Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 200; Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 67; თეიმურაზ ბაგრატიონი, *ახალი ისტორია* (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა), 58-59;

რამდენიმე მიზეზი ექნებოდა; ჩამოვთვლით როგორც პირველწყაროებში მითითებულ, ასევე ჩვენს მიერ განხორციელებული ანალიზის შედეგად ნავარაუდევ მიზეზებს:

1) ალაზნის ადიდება (ქართული წყაროები: ახალი ისტორია, ხელნაწერი H-25; პიშჩევიჩი) და გადასასვლელი საშუალებების - პონტონებისა თუ ნავების არქონა (პიშჩევიჩი);
2) მოპირდაპირე მხარეს ლეკების ლაშქრის გამოჩენა, რის გამოც მდინარის ფორსირება დიდი დანაკარგის გარეშე ვერ მოხერხდებოდა („переход чрез сию реку был бы не без великой потери“) (პიშჩევიჩი);
3) თუნდაც მუღანლოს ბრძოლაში დანახული ლეკების სამხედრო პოტენციალი მოკავშირეთა სარდლობას, სავარაუდოდ, ყველაზე ცოტა, დააფიქრებდა მაინც;
4) მოკავშირეთა ლაშქარი, პირველ რიგში კი, საფიქრებელია, რუსული ნაწილები, ძალიან დამოკიდებული იყო სურსათით მომარაგებაზე; დუბროვინის მიხედვით, სამოილოვმა რუსებთან ერთად თბილისი დატოვა სურსათის მხოლოდ 10-დღიანი მარაგით; ირაკლი II კი პირდებოდაო სურსათი „ქიზიყში“ მიეწოდებინა, მაგრამ ეს დანაპირები შეუსრულებელი დარჩა.[153] ჩვენი გამოთვლით, ოქტომბრის დასაწყისში გამოსულ რუსებს 14 ოქტომბრისთვის სურსათის მარაგი უკვე სრულად თუ არა, მნიშვნელოვანწილად გამოლეული მაინც ექნებოდათ;
5) ზამთრის მოახლოებისას კავკასიონზე გადასვლა მეტად გაძნელდებოდა (ამაზე პირდაპირ მიუთითებს პიშჩევიჩი[154]) ან შეუძლებელიც კი გახდებოდა, სექტემერში ჩამოსულ სამოილოვს კი ჩრდილო კავკასიაში გადასვლა უნდოდა და ამიტომ თბილისში დაბრუნებას ჩქარობდა; თბილისი მან მართლაც მალევე დატოვა[155] (ახალ ისტორიასა და H-25 ხელნაწერში სამოილოვის წასვლის მოხსენიება უშუალოდ მისდევს მუღანლოს ბრძოლისა და ლაშქრობის აღწერას).

თბილისში მოკავშირეთა დაბრუნების მარშრუტი, დუბროვინის მიხედვით, იყო შემდეგნაირი: [მუღანლოს ფონი->]ყარაღაχი->“სტეფანწმინდა“ (ხირსა)->მაჩხანი.[156]

პოტტოს გადმოცემით, თბილისში ალაზნისპირდან ჩამოსულმა მავანმა გაავრცელა ჭორი რუსთა დამარცხება-გადანადგურება-დატყვევების შესახებ, რასაც დიდი პანიკა გამოუწვევია; საქმეს უშველა მხოლოდ ირაკლი II-ის მიერ გამოგზავნილმა მახარობელმა, რომელმაც თბილისს იმავე დღეს მიაღწია.[157] სხვა წყაროები ამ ცნობას არ ადასტურებენ.

მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა (დაბეჭდა მ. χანაშვილმა), 30.

[153] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 47-48.

[154] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 67.

[155] შეად. იქვე, 67-68.

[156] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50.

[157] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 200.

თბილისში მოკავშირეები 20 ოქტომბერს დაბრუნდნენ. მათ საზეიმო და შეიძლება ითქვას ტრიუმფალური დახვედრა მოუწყვეს: ზარების რეკვა და ზარბაზნების სროლა, ზურნაზე დაკვრა (?) (პოტტო[158]); სამადლობელო ლოცვა ეკატერინე II-ს სახელზე, რომლის მრავალჟამიერის წარმოთქმისას ზარბაზნებიდანაც ისროდნენ; მეორე დღეს კი იგეგმებოდა *საქართველოს მფარველი*, კნიაზ პოტიომკინ-ტავრიელის სადღეგრძელოდ კიდევ ერთი მღვდელმსახურების ჩატარება (დუბროვინი[159]).

როგორ *შევაფასებდით* მხარეთა მოქმედებას და ბრძოლის გამოსავალს?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრძოლა, როგორც ჩანს, მაინც ქართველთა და რუსთა გამარჯვებით დასრულდა. მაგრამ, ეს გამარჯვება მუღანლოს ფონთან არც ადვილი იყო, არც ცალსახა, და არც გადამწყვეტი. საზოგადოდ ამ თვის კამპანიას რაც შეეხება, გამარჯვებულებმა ვერ შეძლეს, ვერ გაბედეს და, ჩანს, არც მოისურვეს თავდაპირველად დასახული მიზნის - ჭარელ ლეკთა დასახლებების დასარბევად - ლაშქრობის გაგრძელება.

ლაშქრობისა და თუნდაც ბრძოლის ამგვარი მიმდინარეობა და გამოსავალი მით უფრო საკვირველია, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა თვისობრივად განსხვავებული ტიპის ორი ლაშქარი - ლეკების მეტ-ნაკლებად შემთხვევით შეკრებილი არარეგულარული ბანდების შენაერთი, და ნაწილობრივ მაინც, რეგულარული, ევროპულად გაწვრთნილი ჯარი (ქართლ-კახეთის სამეფოს ასევე, საფიქრებელია, ნაკლებ დისციპლინირებული, მეტწილად სახალხო ლაშქარიც რომ არ ჩავთვალოთ). ლეკები კი ცხენოსან რაზმს წარმოადგენდნენ, განსხვავებით რუსი ეგერებისგან, მაგრამ ბრძოლის ლანდშაფტიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგეებს შორის მაინც პრაქტიკულად ქვეითი ბრძოლა გაიმართა, რომელშიც რუსულ რეგულარულ მსუბუქ ქვეითებს - ეგერებს, კიდევ მეტი უპირატესობა უნდა ჰქონოდათ. გავიხსენოთ ისიც, რომ, პიშჩევიჩის ციფრებით რომ ვიხელმძღვანელოთ, მოკავშირეები გადამეტებული რაოდენობრივი უპირატესობითაც სარგებლობდნენ - 13.75:1! მოკავშირეებს, ლეკებისგან განსხვავებით, არტილერიაც კი გააჩნდათ, რომელიც ასევე ჩართეს ბრძოლაში.

ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას რომ ლეკებმა ძალიან ღირსეულად იბრძოლეს და დაამტკიცეს თავისი სამხედრო რეპუტაცია.

გადამწყვეტი როლი იმაში, ბრძოლა რომ საერთოდ შედგა, და სწორედ ასე წარიმართა, და არა სხვანაირად, ითამაშა, ჩვენი აზრით, რამდენიმე გარემოებამ:

1) შემთხვევითობამ: ორივე ლაშქარი ალაზნის მარჯვენა ნაპირას მუღანლოს ფონთან ერთსა და იმავე დროს აღმოჩნდა; რასაკვირველია, სამხედრო კანონზომიერება, და არა შემთხვევითობა უბიძგებდა ორივე მხარეს იქ მისულიყო - მუღანლოს ფონი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ორივე მხარესთვის მიზიდულობის წერტილს წარმოადგენდა; ფონთან ერთდროულად მისვლაც კი გარკვეულწილად განაპირობა ისეთმა სამხედრო ფაქტორმა, როგორიც იყო ქართულ-რუსული დაზვერვის ეფექტურმა მუშაობამ, რომელმაც დროულად მიაწოდა მოკავშირეებს ინფორმაცია ლეკთა ამ რაზმის შესახებ;

---

[158] იქვე, 201.

[159] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50-51.

2) ლეკთა ცხენოსანი რაზმის ბევრად მეტმა მობილურობამ რუს-ქართველთა ლაშქართან შედარებით, რომელიც შეიარაღებულ ძალთა სამივე სახეობისგან შედგებოდა (ქვეითი ჯარი, კავალერია, არტილერია), და, შესაბამისად, ბევრად უფრო ნელა მოძრაობდა. აქედან გამომდინარე, ლეკებმა დაასწრეს და 14 ოქტომბრის გარიჟრაჟზე მოწინააღმდეგის დანახვის შემდეგ მუღანლოს ფონთან პირველებმა მოახერხეს მისვლა. საქმეს ვერ უშველა ქართულ-რუსული კავალერიის აჩქარებამაც;

3) ლეკთა მიერ დაკავებულმა ხელსაწყრელმა პოზიციამ (მუღანლოს ფონთან ამგვარი პოზიციის არსებობამ), - მუღანლოს ფონთან უფრო ადრე მისულმა ლეკებმა დაიკავეს პოზიცია ალაზნის მიმდებარე, შუა-ოქტომბრის კვალობაზე საფიქრებელია ჯერ კიდევ გარკვეული საფარის მომცემ ჭალასა თუ ტყეში; აქ მათ უადვილდებოდათ თავდაცვა და იმავდროულად აქედან ფონით შეეძლოთ ალაზნის მოპირდაპირე მხარესაც გადასვლა, თუნდაც მოწინააღმდეგის ქმედითი ცეცხლის ქვეშ. ერთი მხრივ, ამან აიძულა სამოილოვი და ირაკლი II ეჩქარათ, თუ სურდათ მოწინააღმდეგის ნაწილის მაინც გამოჭერა; ანუ, ისინი იძულებულნი გახდნენ თავად გადასულიყვნენ შეტევაზე ამ ძლიერი პოზიციის წინააღმდეგ, შესაძლო ზარალის მიუხედავად. დასაწყისში რუს (და ქართველ) ქვეითებს უწევდათ მიახლოება ტრამალი მინდორით, ტყის პირას საფარში მყოფი ლეკების ქმედითი ცეცხლის ქვეშ; ბრძოლის შემდეგ ეტაპზე კი, უკვე ტყის შიგნით, პირისპირ შებრძოლებაც გაჩაღდებოდა, ისიც უფრო ორთაბრძოლების სახით. რუსული რეგულარულად გაწვრთნილი ქვეითი ჯარის უპირატესობები ამგვარ პირობებში ბრძოლისას, ბუნებრივია, მეტწილად ნიველირებული იქნებოდა.

ამასთანავე, რუსულ-ქართული სარდლობის 13-14 ოქტომბრის გადაწყვეტილებას - ჭარში მიმავალი ლეკებისთვის მუღანლოს ფონთან, ანუ, ერთ-ერთ ყველაზე მოსახერხებელ (და ლეკებისთვის ახლომდებარე!) გადასასვლელთან ლეკებისთვის გზა გადაეღობათ; და თუკი გზის გადაღობვა ვეღარ მოესწრებოდა, გადასვლისას მათთვის შეეტიათ რომ გაენადგურებინათ - სავსებით გამართლებულად მივიჩნევთ. ირაკლი II-სა და სამოილოვს რომ არ ეჩქარათ, და შემდეგ შეტევისგან თავი შეეკავებინათ, ლეკები ალბათ შეძლებდნენ მეტ-ნაკლებად თავისუფლად (მაინც გასათვალისწინებელია, რომ ალაზანი ადიდებული იყო) გადასულიყვნენ მდინარის მარცხენა მხარეს; შეუერთდებოდნენ თავის მეთემეებს და კიდევ უფრო გაზრდიდნენ საგარეო საფრთხეს ქართლ-კახეთის სამეფოსთვის. აქტიური მოქმედებით კი მიღწეულ იქნა რაღაცა გამარჯვება მაინც - ლეკების მოზრდილთა რაზმი დაამარცხეს თუ პოზიცია მაინც დაათმობინეს, მნიშვნელოვანწილად, ჩანს, მაინც, გაანადგურეს, რაც ლაშქრობის არსებით შედეგს წარმოადგენდა. არ არის გასაკვირი, რომ ტფილისში დაბრუნებისას ირაკლი II-მ ბრძანა გამარჯვება საზეიმოდ (ანუ, საჯაროდ) აღენიშნათ; მოტივაცია შეიძლება სამგვარი ყოფილიყო: 1) ირაკლი II-ის ლეკების რეალურად განადგურებით გამოწვეული სიხარული და ტრიუმფის შეგრძნება; 2) რუსი მოკავშირეებისთვის პატივის მიგება (მათი გულის მოსაგებად); 3) ერთგვარი შიდა-პროპაგანდისტული სვლა - მოსახლეობის თვალში მონარქის გამარჯვების ხაზგასმა, და, საზოგადოდ, ლაშქრობის იმაზე უფრო წარმატებულ და მასშტაბურ აქციად გასაღება, ვიდრე ის რეალური იყო (ეს მოტივი რუს სამხედროებსაც ექნებოდათ; ამ მხრივ ძალიან საგულისხმოა პიშჩევიჩის მოწმობა, იხ. ზემოთ).

მუღანლოს ბრძოლა, ბუნებრივია, მხოლოდ ტაქტიკური, მეტად შეზღუდული მნიშვნელობის გამარჯვება თუ იყო. ირაკლი II-ის გეგმა-მაქსიმუმი ჭარ-ბელაქნის დაკავება იყო, რაც ერთი მხრივ, აღადგენდა ამ ისტორიულად ქართულ ტერიტორიაზე ქართულ იურისდიქციას, მეორე მხრივ კი მოსპობდა ლეკიანობის ერთ-ერთ ძირითად და ძალიან მოსახერხებელ ბაზას. ხელმისაწვდომი ძალებით ამის გაკეთება, როგორც მეფეს პოტიომკინი მიუთითებდა, ალბათ, მართლაც შეუძლებელი იყო: უკვე XIX საუკუნეში ბევრად უფრო დიდი სამხედრო-ადმინისტრაციული რესურსების მქონე რუსეთის იმპერიასაც კი ამისთვის რამდენიმე ათწლეული დასჭირდა. მაგრამ, გეგმა-მინიმუმით მოქმედება, ანუ, ალაზნის მეორე მხარეს გადასვლა და საომარი მოქმედებების უკვე ჭარში, ავაზაკი ლეკების ბუდეში გადატანა (რამდენიმე სოფლის დარბევა მაინც) საკმაოდ ძლიერი დემონსტრაცია იქნებოდა და, შესაძლოა, ჭარის სამხედრო პოტენციალიც შეემცირებინა. ამის გაკეთება ვერ მოხერხდა; მოკავშირეებმა ალაზანიც კი ვერ გადალახეს: მდინარე ადიდებული იყო, პონტონები ან ნავები კი ხელმისაწვდომი არ იყო; მის ფორსირებას მარცხენა ნაპირას გამზადებული მოწინააღმდეგეც შეუშლიდა; ვინ იცის, ეგება მუღანლოს ბრძოლაში ლეკების მედგარმა წინააღმდეგობამაც დააფიქრა ირაკლი II და სამოილოვი, რომ გარისკვა არ ღირდა; სურსათიც დააკლდებოდათ. ლაშქრობაზე მოხმარებული საკმაოდ დიდი რესურსი კი თითქმის ფუჭად დაიხარჯა - პოტიომკინთან შეთანხმებული და მასთან ერთად დაგეგმილი ლაშქრობა, რომლისთვისაც ტფილისში საგანგებოდ გენერალი სამოილოვი დატოვეს და ირაკლის რუსთა ერთად შეკრებილი ორივე ბატალიონი გამოუყვეს (მუღანლოს ბრძოლის შემდეგ სამოილოვი სულ რამდენიმე დღეში უკან, ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრა), და რომლისთვისაც მეფე საკმაო ხარჯს გაიღებდა (ქართლ-კახეთის სახალხო ლაშქრის შეკრება, ბუნებრივია, ხარჯებსა და ეკონომიკის დაძაბვას გულისხმობდა) - ისე დასრულდა, რომ მოკავშირეებს ჭარში ფეხიც კი არ შუდგავთ. ერთი სიტყვით, სტრატეგიული თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, ლაშქრობა არაფრის მომცემი იყო. ბრძოლის მონაწილე პიშჩევიჩიც აზრით, მოკავშირეებმა ლეკები, პირიქით, უფრო გააღიზიანეს, ვიდრე დააშოშმინეს.[160]

თუმცა, არ არის ინტერესს მოკლებული დუბროვინის მოსაზრება: მართალია, რაიმე ხელჩასაჭიდი შედეგი ამ *გამარჯვებას* არ მოუტანია (და აჯობებდა ლეკებისთვის თავიდანვე ძლიერად დაერტყათ, რომ სამომავლოდ გაეადვილებინათ საქმე...), მაგრამ, სამაგიეროდ, ბრძოლის გამოსავალმა დიდი ზნეობრივი ზეგავლენა იქონია ქართველებსა და, კერძოდ, ირაკლი II-ზე.[161] როგორი გაზვიადებულიც არ უნდა ყოფილიყო ქართველებისა და რუსების გამარჯვება, გარკვეულ შთაბეჭდილებას ის, საფიქრებელია, მართლაც მოახდენდა, - როგორც ლეკებზე, ასევე ქართველებზე.

დუბროვინი ბრძოლის (*გამარჯვების*) შედეგად თვლის განჯის მიერ ირაკლი II-სადმი მორჩილებას გამოცხადებასაც,[162] რაც ქართლ-კახეთის სამეფოსთვის ნამდვილად არსებითი მონაპოვარი იქნებოდა. თუმცა, სინამდვილეში მუღანლოს

---

[160] Пишчевич, *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*, 67.

[161] Дубровин, *История войны и владычества русских на Кавказе*, 50.

[162] იქვე, 51.

ბრძოლას განჯის დამორჩილება არ მოუტანია; ირაკლი II-ს განჯის წინააღმდეგ და განჯისთვის ბრძოლის გაგრძელება შემდეგაც დასჭირდა (რუსების მეტ-ნაკლებად სტაბილური დახმარებით).[163]

რაც შეეხება ლეკების მოქმედებას, საკითხავია, რამდენად გამართლებული იყო უკვე გამოჩენილი რუსულ-ქართული ლაშქრის თვალწინ მუღანლოს ფონისკენ მათ მიერ მოძრაობის გაგრძელება. მოახლოებული მოწინააღმდეგის თვალწინ, დიდი ალბათობით მისი ზემოქმედების ქვეშ ადიდებული მდინარის ფონით ფორსირება ურთულეს და მეტად სარისკო სამხედრო ოპერაციად უნდა ჩაითვალოს. ლეკებს უკან რომ დაეხიათ, ნამდვილად აიცილებდნენ თავიდან დამარცხებასა და პირადი შემადგენლობის მეტი ან მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურებას - ფაქტია, რომ ქვეითების სიჩქარით მოძრავი გაერთიანებული რუსულ-ქართული ლაშქარი მათ ვერ დაეწეოდა, ხოლო (უპირატესად ქართული) კავალერია, შესაძლოა, ვერც გაბედავდა დადევნებას, ან, ასევე, ვერ დაეწეოდა. ლეკების გადაწყვეტილებას - ფონისკენ მოძრაობა გაეგრძელებინათ რომ ალაზნის მეორე მხარეს გადასულიყვნენ, თეორიულად შეიძლება რამდენიმე განმარტება მოეძებნოს:

1) გათავხედებულობა; ქართლ-კახეთის სამეფოში და კავკასიის სხვა რეგიონებში მეტწილად დაუსჯელი პარპაშით გათამამებულ ლეკებს არ ეგონათ, რომ თუნდაც ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე გაბედავდა შეტევას და არ აცლიდა მეორე მხარეს გადასვლას;

2) ლეკთა არადისციპლინირებული და არაერთგვაროვანი ლაშქრის მართვის სირთულეები - თუ მათ რამდენიმე ბელადი ჰყავდათ და ერთპიროვნულად არავინ სარდლობდა, არ არის გამორიცხული, რომ უცებ ვერ შეთანხმდებოდნენ - გადაწყვეტილება შეეცვალათ და უკან გამობრუნებულიყვნენ;

3) ლეკებს ესმოდათ ფონისკენ მოძრაობის გაგრძელება თუ რამდენად საშიში იყო; მაგრამ შეგნებულად გარისკეს, რათა რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყვნენ ჭარში რომ დაეცვათ ის ქართულ-რუსული შემოსევისგან.

არ შეიძლება არ შევეხოთ ირაკლი II-ის სინელეს, რომელიც სამოილოვს ესე აღიზიანებდა. ქართლ-კახეთის მეფემ აშკარად დააგვიანა ტფილისიდან გასვლა და რუსებთან შეერთება. დაკარგული რამდენიმე დღე როგორც ჩანს საბედისწერო გამოდგა - დაიწყო წვიმები, გზები ატალახდა, რამაც რუსულ-ქართული ლაშქრის მოძრაობის ტემპი კიდევ უფრო შეანელა; ალაზანიც ადიდდა და მისი გადალახვა შეუძლებელი შეიქმნა; ჩანს, დაიკარგა მოულოდნელობის ეფექტიც - ჭარელებმა შეიტყვეს მოახლოებული საფრთხის წინაში, მოასწრეს თავისი ძალების მობილიზება, თავისი თანამოძმეების განჯიდან (?) გამოძახებაც კი, და რუსულ-ქართულ ლაშქარს მუღანლოს ფონთან ალაზნის მარცხენა ნაპირას დაუხვდნენ. საყურადღებოა მეფის ყოყმანი შეჭრის სამიზნის არჩევაშიც - ჭარი თუ ბელაქანი.

---

[163] მიხეილ სამსონაძე, „ამიერკავკასიის სახანოებთან ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის 80-იან წლებში“, *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. II* (თბილისი: მეცნიერება, 1973), 111-124; გიორგი მაჭარაძე, „ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობანი აზერბაიჯანის სახანოებთან XVIII საუკუნის 60-80-იან წლებში“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1 (1983), 87-89.

ვახტანგ გურული ცდილობს ირაკლი II-ის მიერ დაგვიანებული გასვლა და ყოყმანი რეგიონის პოლიტიკური მდგომარეობისა და სახანოებიდან შესაძლო საფრთხის გათვალისწინების აუცილებლობით გაამართლოს.[164] პოტტოს მიხედვით, მეფეს მართლაც მუქარა მოუვიდა, ჭარ-ბელაქანზე გალაშქრების შემთხვევაში განჯელები ჭარელ ლეკებს დაუჭერდნენ მხარს.[165] მაგრამ, საკითხავია, რამდენად ქმედითი და დროული იქნებოდა ლეკებისთვის განჯელების თუ კავკასიის სხვა ხანების მიერ აღმოჩენილი დახმარება, და მისი შიშით რამდენად ღირდა უკვე წამოწყებული ლაშქრობის ჩაშლა; ან, ამ საშიშროების გათვალისწინებით, საერთოდ რამდენად ღირდა ლაშქრობის წამოწყება (წინასწარი დიპლომატიური მომზადების გარეშე). ნებისმიერ შემთხვევაში, ვფიქრობთ, გადაწყეტილება მალევე უნდა მიეღოთ - თუ ლაშქრობის გაგრძელებას აპრირებდა, ირაკლი II-ს უფრო ოპერატიულად უნდა ემოქმედა; ხოლო თუ ჩაშლა ერჩივნა, რუსების უნდა გამოებრუნებინა, ან, ჯობდა, არც კი შეეწუხებინა (რუსული ბატალიონები სხვანაირად მოეხმარა).

თუ მეფის სინელეს ჯართა შეკრების აუცილებლობა განაპირობებდა, რაც ასე გაჭიანურდა, მაშინ უნდა ვისაუბროთ ქართლ-კახეთის სამეფოში ჯართა მობილიზაციის სისტემის არასრულყოფილებაზედაც (რაც ესეთი სავალალო შედეგებით დასრულდა 1795 წელს, აღა მაჰმად-ხანის შემოსევის ჟამს).

ისიც არ არის გამორიცხული, რომ მეფემ ლაშქრობა კი წამოიწყო, მაგრამ საკმარისი რაოდენობის ჯარი რომ ვერ შეაგროვა, უფრო იმ აზრისკენ გადაიხარა, რომ არსებული ძალებით ჭარში შესვლა საფრთხილო იყო. თუმცა, უკან უბრძოლველად გამობრუნება ირაკლი II-ის პრესტიჟს არსებით დარტყმას მიაყენებდა. გამოვთქვამთ ვარაუდს - ქართლ-კახეთის მეფე დროს შეგნებულად ხომ არ ატარებდა? რომ მოკავშირეებს სხვა გამოსავალი აღარ დარჩენოდათ, გარდა თბილისში დაბრუნებისა? თუ ასეა, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ლეკების არცთუ დიდი რაზმის გამოჩენა ირაკლი II-ისა და სამოილოვისთვისაც ბედის გაღიმებას წარმოადგენდა: ორივეს მიეცა საშუალება სახე შეენარჩუნებინათ, ეჩვენებინათ, რომ ლაშქრობით რაღაცას მაინც მიაღწიეს. თბილისში ზარზეიმით დაბრუნება კი მიღწეულ „წარმატებას“ კიდევ უფრო გაამყარებდა.

***

1784 წლის ოქტომბერში რუს-ქართველთა ლაშქრობა ჭარზე და მუღანლოს ფონთან გამართული ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან სამხედრო თანამშრომლობის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ეპიზოდად გვესახება. ჩვენი აზრით, ამ სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის გარღმავებულად შესწავლას, სამხედრო ანალიზის ჩათვლით, საგულისხმო ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს. იმედს ვიტოვებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს ამ ეპოქის ქართლ-კახეთის სამეფოს, საზოგადოდ, ქართული სამხედრო ისტორიის შემდგომ კვლევას.

---

[164] გურული, *მეფე ერეკლე და რუსეთი. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან (1783-1798)*, 112.

[165] Потто, *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*, 195.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაგრატიონი, ბაგრატი. *ახალი მოთხრობა.* 49-161. ბატონიშვილი დავითი. *ახალი ისტორია.* ბატონიშვილი ბაგრატი. *ახალი მოთხრობა.* გამოსცა თამარ ლომოურმა. თბილისი: საქართველოს სრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.
2. ბაგრატიონი, დავითი. *ახალი ისტორია.* 1-44. ბატონიშვილი დავითი. *ახალი ისტორია.* ბატონიშვილი ბაგრატი. *ახალი მოთხრობა.* გამოსცა თამარ ლომოურმა. თბილისი: საქართველოს სრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.
3. ბაგრატიონი, ვახტანგი. *ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსოვნისა შემთხვეულებათა საქართველოსა შ~ა აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ.* (გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ). ტფილისი: სტამბა ბართლომე კილაძისა, 1914.
4. ბაგრატიონი, თეიმურაზი. *ახალი ისტორია*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება, 1983.
5. ბარათაშვილი, იესე. *იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი.* ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,* ნაკვეთი 28. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950.
6. *გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. Георгиевский трактат. Договор 1783 года о вступлении Восточной Грузии под покровительство России*. (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ. Текст подготовил к изданию, введением и примечаниями снабдил Г. Г. Паичадзе). თბილისი: მეცნიერება, 1983. Тбилиси: Мецниереба, 1983.
7. გურული, ვახტანგი. „რუსეთის ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოში (1783-1787)“. *საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები*, VI (2016): 75-114.
8. გურული, ვახტანგი. *მეფე ერეკლე და რუსეთი. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან (1783-1798).* თბილისი: ქართული უნივერსიტეტი, 2018.
9. დუმბაძე მამია. „პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი“. 694-705. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე.* (ტომის რედაქტორი მამია დუმბაძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.
10. კაკაბაძე, სარგისი. *ქართველი ხალხის ისტორია: 1783-1921.* თბილისი: ნეკერი, 1997.

11. *მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა* (დაბეჭდა მ. ჯანაშვილმა). ტფილისი: ქართული ამხანაგობა, 1905.
12. მაჭარაძე, გიორგი. „ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობანი აზერბაიჯანის სახანოებთან XVIII საუკუნის 60-80-იან წლებში“. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1 (1983): 72-90.
13. მუსხელიშვილი, დავითი (რედაქტორი). *საქართველოს ისტორიის ატლასი. მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა.* თბილისი: არტანუჯი, 2016.
14. პაპუაშვილი, თენგიზი. *საინგილოს ისტორიის ნარკვევები. საქართველოს აღდგომისა და გამოხსნისათვის ბრძოლა კაკ-ელისენის გამო*. თბილისი: არტანუჯი, 2008.
15. სამსონაძე, მიხეილი. „ამიერკავკასიის სახანოებთან ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნის 80-იან წლებში“. 94-126. *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. II.* თბილისი: მეცნიერება, 1973.
16. ხერხეულიძე, ომანი. *მეფობა ირაკლი მეორისა.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება, 1989.
17. Wanklyn, Malcolm. *Decisive Battles of the English Civil Wars. Myth and Reality.* Norfolk: Pen & Sword Military, 2006.
18. Бутков, Петр. *Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, П.Г. Буткова. Часть вторая.* Санкт-Петербург, 1869.
19. Дубровин, Николай. *История войны и владычества русских на Кавказе. Том II*. С.-Петербург: Типография И. Н. Скороходова, 1886.
20. Дубровин, Николай. *История войны и владычества русских на Кавказе. Том IV*. С.-Петербург: Типография И. Н. Скороходова, 1886.
21. Зубарев, Дмитрий. „Поездка в Кахетию, Тушетию, Пшавию, Хевсурию и Джаро-Белоканскую область“. *Русский вестник*, т. 2 (1841): 509-558.
22. Пишчевич, Александр. *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805*. (С предисловием и описаниями Нила Попова). Москва: Университетская типография, 1885.
23. Потто Василий. *Исторический очерк Кавказских войн от их начала до присоединения Грузии*. Тифлис: Типография Канцелярии Главноначальствующего гражданскою частью на Кавказе, 1899.
24. Потто, Василий. *Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях.Том 1-й. От древнейших времен до Ермолова.* С.-Петербург, 1887.
25. Хапизов, Шахбан. *Ума-Нуцал (Умахан) Великий (очерк истории Аварского нуцальства второй половины XVIII в.)*. Махачкала, 2013.

26. Щербатов, Александр. *Генерал-фельдмаршал князь Паскевич. Его жизнь и деятельность. Т. 3 с 5 картами и планами. Октябрь 1827 — май 1831 гг.* Санкт-Петербург: Типография Р. Голике, 1891.
27. Яишников, Т.Н. “Выдержки из описания лезгино-джарских вольных обществ. 1830 г.”. 300-303. *История, география и этнография Дагестана. XVIII–XIX вв.: Архивные материалы*. Под ред. М.О. Косвена и Х.-М. Хашаева. Москва: Издательство восточной литературы, 1958.

ცხრილი 1. 1783-1784 წლების მოვლენები სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით

ახალი ისტორია (S-3860 და A-1766)	***ახალი ისტორიისა* და *ახალი მოთხრობის* კომპილაცია (ხელნაწერი H-25)**	**ახალი მოთხრობა**
წელსა **ჩღპგ**, ქ(ორონი)კ(ონ)ს უოა, შევიდა მეფე ირაკლი საფარვ[ე]ლსა ქვეშე რუსეთისასა, რომელსაცა წარმოუგზავნა იმპერატრიცა ეკატერინამ ნიშანნი სამეფონი, გრამმატა და ორი ბატალიონი მჯედრობაჲ, რომელნიც შეიკრნენ უცვალებელითა პირობითა	წელსა 1783, ქკ“ს უოა შევიდა მეფე ირაკლი საფარველსა ქუჱშე რუსეთისასა, რომელსაცა წარუგზანა იმპერატრიცამ ეკატირინამ ნიშანნი სამეფონი (გრამატა) და ორნი ბატალიონნი რუსთა მხედრობისანი იეგირად ხმობილნი, რომელნიცა შეიკრნენ უცუალებელითა პირობითა,	წელსა 1783 მეფემან ირაკლიმ სთხოვა მფარველობაიჲ იპერატრიცა ეკატირინას. მან ფარველობის ტრაკტატი უბოძა მეფისავე თანხმობითა. იპერატრიცამ უბოძა მეფესა სამეფო ნიშანნი, ესე იგი: გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და დროშა.
		ხოლო კავალერია ანდრია პირველწყოდებულისა აქვნდა მიღებულ დროსა ღიანარალ ტეტელბელისათა, რომელიცა მიუბოძა მაშინ სამსახურისა გამო იპერატრიცამ, ოდეს მისცა გზაჲ არაგვისა მხედრობასა როსისასა და შემწეობა ყოველივე, რომელთაცა გარდავლეს მთაჲ და შთავიდნენ იმერეთსა შინა.
	ხოლო დედოფალსა დარეჯანს, მეუღლესა მეფისასა, კავლერია წმიდისა ეკატირინასი ძვირფასი ბრილიანტითა, და პირმშოსა ძესა მისსა გიორგის კავლერია ალექსანდრე ნევსკისა და ეგრეთვე ანტონს კათალიკოზსა, ძესა იასე მეფისასა, უბოძა შუბლზედან	კვალად ამავე ნიშნებთან უბოძა იპერატრიცამ დედოფალს დარეჯანს დადიანის ასულს კავალერია წ~ისა ეკატირინასი ბრილიანტისა და ძვირფასი ტანისამოსი, და პირმშოსა ძესა მისსა გიორგის ალექსანდრე ნევცკისა კავალერია და ეგრეთვე

	ჯვარი ბრილიანტისა და პანაღია ძვირფასი, და ეგრეთვე მოხელეთაცა მეფისა კარისათა უბოძა ღირსებისა-მებრ მათისა საჩუქარნი.	ანტონი კათალიკოზსა, მეფის იასეს ძეს, შულბლსა ზედა ჯვარი ბრილიანტისა და პანაღია ძვირფასი, და ეგრეთვე ჩინებულთა კარის-კაცთა ქართველთა თავადთა და აზნაურთა შესაფერნი ნიშანნი მიუბოძა იპერატრიცამ, რომელთამე ბურნუთის კოლოფი, რომელთამე ბეჭედნი ალმასისანი და რომელთამე სათნი და ეგევითარნი.
	ესენი ყოველნივე მიიღო მეფემან ირაკლიმ ტფილისს, რომელიცა იდღესასწაულეს დღესასწაულობითა დიდითა სიონის ეკლესიასა შინა. და გარდაიხადა წირვა და პარაკლისი ანტონის მიერ კათალიკოზისა, რომელმანცა მოახსენა მეფესა შესხმა ჩინებული მის დღისა. ხოლო დღესა მას იყო ნადიმი დიდი მეფისა მიერ და სროლაჲ ზარბაზანთა მთელსა დღესა. ხოლო ღამესა მას იქმნა ქალაქი გაჩირაღვანებული, დაკუ!რაჲ სამხიარულოთა საყვირთა და ცეცხლის სათამაშო, ვითარცა რუსთაგან, ეგრეთვე ქართუჱლთაგანცა.	ესე ყოველნივე მიღო მეფემან სამეფოსა ქალაქსა ტფილის, რომელიცა იდღესასწაულა დღესასწაულობითა დიდითა სიონის ეკლესიასა შინა და გარდაიხადა დღესასწაული ესე კათალიკოზმან ანტონიმ, და იქმნა სიხარული დიდი საქართველოსა შინა შერთებისათვის რუსთა და ქართველთა. [შემდეგ მოთხრობილია იმერეთის სამეფოს ამბები]
და წარგზავნა კარსა რუსეთისასა ორნი ძენი თვისნი ანტონი და მირიან.	ხოლო წელსა ამასვე წარგზავნა კარსა ზედა როსიისათა ელჩად ეშიკაღასბაში თვისი ჭავჭავაძე გარსევან, და მას წარატანნა ორნი ძენი თვისნი, ანტონი მონოზონი მთავარდიაკონი და მირიან, მისრულთა იასს პატივ ჰსცა კნიაზ პოტემკინმან გრიგოლი	წელსა 1784 წარავლინა მეფემან ირაკლიმ როსიად ძენი თვისნი ანტონი შემონოზნებული მთავარ-დიაკონი და მირიან, რომელსაც უბოძა იპერატრიცამ პოლკოვნიკობა ცხენოსანს ჯარში.

	ალექსანდრიიჩმან, რომელიცა ჟამსა მას განდიდებულ იყო ფრიად და მართვიდა ყოველსავე საქმეთა რუსეთისათა, იყო ნაიბიცა რუსთა ხელმწიფისა, ხოლო მირიანს მისცეს პოლკოვნიკობა და განაწესეს იგი ცხენოსანს პოლკშია, და ანტონი წარავლინეს პეტერბურღშია, რომელიცა მიიღო იმპერატრიცამ დიდის პატივით, და შემდგომად წლისა ერთისა აკურთხეს, თხოვნითა მეფის ირაკლისათა, უწმინდესმან სინოდმან მღვდელთ-მთავრად ნინოწმინდლად, რომელიცა აკურთხებინა იმპერატრიცამ თვით საზაფხულოსა სასახლის კარის ეკლესიასა შინა ცარცკისელოს.	
ამას ზ(ედ)ა განძვინდა ფაშა ახალციხისა სულეიმან ათაბაგი, აღუწოდა ლეკთა და იყო ოჯრება ქართლისა.	მსმენელი ამა შეერთებისა რუსთა თანა ახალციხისა ფაშამან სულეიმან აღადგინა აბოხი ქართლსა ზედა და განძვინდაცა, აღუწოდა ლეკთა მრავალთა, და იყო ოხრება ქართლისა.	
ჟამსა ამას მოვიდა ღიარანალ-პორუჩიკი პოტემკინი.	ჟამსა ამას მოვიდა ტფილისს კავკასიის ლინიის უპირველესი მართებელი ღიანარალ პორუჩიკი პავლე სერგიიჩი პოტემკინი. ამან აწვია მეფესა ირაკლის, რათა მისცეს მათ სრული ნებაჲ და მართონ რუსთა საქართუჱლოი რუსთა მებრ წესითა, და ჰქონდეს კახეთი თავისუფლად და ჯამაგირი ეგოდენი, რაოდენიცა შემოსდიოდა ქართლით.	

	მსმენელმან ამისმან მეფემან ირაკლიმ არა ინება თანხმობა ამისი და უპასუხოდ განუტევა იგი რუსეთადვე.	
ამან დაუტევა მეფესა თანა ღიარანალ-მაიორი სამაილოვი და თვით წარვიდა რუსეთადვე.	ხოლო მან დაუტევა მეფესთან ღიანარალ მაიორი სამაილოვი და თვით წარვიდა რუსეთადვე.	
შეითქვნენ უკუე ესენი ჭარსა ზ(ედ)ა და წარვიდნენ საქართველოსა და რუსთა მჯედ[რ]ებითა. მიიწივნენ რა ურდოს, მუნ შეემთხვათ მცირედნი მჯედრობანი ლეკთანი, სადაც უქმნეს მათ მჯედრობათა ქართველთა და რუსთასა მცირედ რამ ვნებაჲ და მოკლეს პრინცი ღესსენ რეინტელსისა პოდპოლკოვნიკი [B: ცოლის ძმაი პავლე იმპერატორისა, პირვლისა ცოლისა მისისა]	შეითქვნენ ეგენი ჭარსა ზედა და წარვიდნენ საქართველოჲსა და რუსთა მხედრობითა. მიიწივნენ რა ურდოსა, მუნ შეემთხვიათ მცირენი მხედრობანი ლეკთანი, სადაცა უქმნეს მათ მხედრობათა ქართუჱლთა და რუსთა მცირედ რაჲმე ვნებაჲ, და მოკლეს პრინცი ღესსენარეინტელისა, სახელად გეეს, პოდპოლკოვნიკი, ცოლის ძმა პავლე იმპერატორისა, პარველისა ცოლისა მისისა.	
	და დასჭრეს მისკარბაში იოსებ, და ზაალ საამისშვილი, კაცი მამაცი, ბრძოლასა შინა, და მოკლეს დიმიტრი აბხაზიც, და მრავალნი სხვანიცა,	
და მუნით ვინადგან ვერღარა განვიდნენ მდინარესა ალაზნისასა სიდიდისა გამო, უკმოიქცნენ	და მუნით ვინაჲთგან ვერღარა განვიდნენ მდინარესა ალაზნისასა სიდიდისა გამო, მოიქცნენ უკანვე,	
და წარვიდა სამაილოვიცა რუსეთად.	ხოლო სამოილოვი ღიანარალი წარვიდა კუალად რუსეთადვე.	

ცხრილი 2. ირაკლი II-ისა და გენერალ სამოილოვის გეგმა

წყარო	რუსულ-ქართული სარდლობის გეგმა
ახალი ისტორია / ხელნაწერი H-25	„შეითქვნენ [...] ესენი ჭარსა ზ(ედ)ა“
პიშჩევიჩი	*ლეკების სამფლობელოებში შეჭრა და მათი მოთვინიერება*: „ალაზანზე ამ წამოწყებით ლეკები მოვათვინიერეთ კი არა [...]“
ბუტკოვი	*ლეკების დასჯა*
დუბროვინი	ქართლ-კახეთის სამეფოების საზღვრებს ახლო მდებარე ლეკთა დასახლებების „დასჯა“ (IX/1784-ის მოლაპარაკება) გალაშქრება ბელაქანზე ან ჭარზე (X/1784)
პოტტო, 1899	ლეკების მხოლოდ მეზობელი თემების დასჯა (IX/1784-ის მოლაპარაკება)

ცხრილი 3. მოწინააღმდეგეთა ძალები

წყარო	რუსთა	ქართველთა	ლეკთა
ახალი ისტორია			„მცირედნი მჯედრობანი ლეკთანი“
ხელნაწერი H-25			„მცირენი მხედრობანი ლეკთანი“
პიშჩევიჩი	ცოტა > 1,500 (ეგერთა ბატალიონები, ზარბაზნები, დრაგუნები, კაზაკები)	დაახლ. 4,000 (საკმაო რაოდენობის არტილერიით)	400 (+ ალაზნის მეორე მხარეს შეკრებილი ლეკები)
ბუტკოვი	**ქვეითი**: 2 ბატ. (ეგერთა) **არტილერია**: 4 ზარბაზანი **კავალერია**: დრაგუნთა 1 ესკადრონი + 180 კაზაკი		
დუბროვინი	**ქვეითი**: 2 ბატ. (ეგერთა) **არტილერია**: 4 ზარბაზანი **კავალერია**: დრაგუნთა 1 ესკადრონი + დაახლ. 100 კაზაკი	? (120 იმერელის ჩათვლით)	
პოტტო, 1899	**ქვეითი**: 2 ბატ. (ეგერთა) **არტილერია**: 4 ზარბაზანი **კავალერია**: დრაგუნთა 1 ესკადრონი + 180 კაზაკი	ქვეითი ჯარი და კავალერია	

ცხრილი 4. მოწინააღმდეგეთა დანაკარგები

წყარო	რუსთა დანაკარგი	ქართველთა	ლეკთა
თეიმურაზ ბატონიშვილი (S-3860 და A-1766)	*მცირედი* („მუნ შეემთხვათ მცირედნი მჴედრობანი ლეკთანი, სადაც უქმნეს მათ მჴედრობათა ქართველთა და რუსთასა მცირედ რამ ვნებაჲ და მოკლეს პრინცი ღესსენ რეინფელსისა პოდპოლკოვნიკი“)		
ხელნაწერი H-25	*მცირედი* (+“დასჭრეს მისკარბაში იოსებ, და ზაალ საამისშვილი, კაცი მამაცი, ბრძოლასა შინა, და მოკლეს დიმიტრი აბხაზიც, და მრავალნი სხვანიცა”)		
პიშჩევიჩი	*შუა ბრძოლაში*: „ჩვენიანებისა და ქართველების […] *ზარალი უკვე საკმაოდ შესამჩნევი იყო*“		
ბუტკოვი	17 (მოკლულ-დაჭრილი, პრინცის ჩათვლით)	20 (მოკლული)	მოკლული: >200 ტყვე: 2
დუბროვინი	17 (მოკლულ-დაჭრილი, პრინცის ჩათვლით)		მოკლული: 200-მდე (+ თან წაღებული ცხედრები და დამხრჩვალნი)
პოტტო, 1887	უმნიშვნელო (+პრინცი)		200
პოტტო, 1899	41 (40 რიგითი და 1 ოფიცერი, - პრინცი)	? უაზნო (მოკლული: 2 თავადი; დაჭრილი: 3)	>300

რუკა 1. მუღანლოს ფონი დღეს (გადასასვლელი სამთაწყარო-მუღანლო)

რუკა 2. მუღანლოს ფონი და მისი მიდამოები. აშშ სამხედრო ტოპოგრაფიული რუკა (1941-1944)



რუკა 3. მუღანლოს ფონის მიდამოები, 2024 წლის ლანდშაფტი